დედოფლისწყარო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

# შირაქი

SHIRAKI
www. opentext. ge
გამოდის 1937 წლიდან

№6 (9.571)
23 თებერვალი–1 მარტი 2013 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# შეხვედრები მოსახლეობასთან



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება. ამჯერად ირაკლი შიოლაშვილი გამგებლის მოადგილეებთან და სამსახურის უფროსებთან ერთად სოფელ არბოშიკში, ოზაანსა და ზემო მაჩხაანში იმყოფებოდა. არბოშიკის მოსახლეობა გამგებელს იმ პრობლემებზე ესაუბრა,რომელიც სოფელს მრავალი წლის განმავლობაში აწუხებს და ჯერაც მოუგვარებელია.ირაკლი შიოლაშვილმა განმარტა,რომ ყველა პრობლემა სამართლებრივი გზით უნდა მოგვარდეს,რათა უსამართლობის გრძნობა არავის დარჩეს. საუბრის თემას სოფლის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და გაუმართავი წყალმომარაგების სისტემაც წარმოადგენდა. მუნიციპალიტეტის გამგებელი საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერთან ერთად შეეცადა გაერკვია რამდენად რეალურია ამ პრობლემის უმოკლეს დროში მოგვარება. არბოშიკელებმა გამგებლისგან პირობა მიიღეს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა საკითხის გადაწყვეტაში აქტიურად ჩაერთვება.,,ხალხს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ხელისუფლება მის გვერდითაა“- განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

ირაკლი შიოლაშვილის სოფელ ოზაანში სტუმრობის მიზეზი სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებული პრობლემა წარმოადგენდა, რომელიც გამგებლის ადგილზე ჩასვლისა და მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ მოგვარდა. გამგებელი ოზაანელებს დაპირდა, რომ შეხვედრები პერმანენტულ სახეს მიიღებს და საწუხარის გაზიარების საშუალება კიდევ არაერთხელ ექნებათ.

წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა - ეს იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ვიზიტის ძირითადი მიზანი სოფელ ზემო მაჩხაანში. პრობლემის მიზეზი წყლის არასაკმარისი რაოდენობაა. ირაკლი შიოლაშვილმა სპეციალისტებთან ერთად ის ადგილები დაათვალიერა, სადაც დამატებითი წყლის მოძიებაა შესაძლებელი.რელიეფური მდებარეობის გამო ზემო მაჩხაანში მოქმედი რეზერვუარიდან სასმელი წყლის თანაბარი განაწილება ვერ ხერხდება. მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფელში არსებული რეზერვუარები შეამოწმა და განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველა საშუალებით შეეცდება ზემო მაჩხაანში ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებას.

„ნაყოფიერად შევაფასებ დღევანდელ შეხვედრებს მუნიციპალიტეტის სოფლებში. ყველა პრობლემა ერთ დღეში ვერ მოგვარდება, ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ მათი გადაჭრის გზებზე. ამიტომაც ვარ დღეს გამგეობის შესაბამისი სამსახურის უფროსებთან ერთად. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოსახლეობამ ხელისუფლების მხარდაჭერა იგრძნოს“ - განაცხადა შეხვედრის ბოლოს ირაკლი შიოლაშვილმა.

# „იავნანას“ ბედნიერება მოაქვს!

სოფელ არბოშიკში ფონდმა “იავნანამ” კიდევ ერთი ათსულიანი ოჯახი ჩაასახლა.სწორედ ამიტომ ამ დღეებში სოფელ არბოშიკს მივაშურე. სოფლის ცენტრში მშვენიერი, ორსართულიანი, აგურის სახლი დგას. სახლის წინ დარგული ბროწეულები ეზოს ძალიან მომხიბვლელს ხდის. გარშემო დიდი ბაღჩები, სათავსოები და საქონლის სადგომები, - ყველანაირად გამართული ეზო—კარია და ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მარჯვე ხელმა ოჯახი საამქროსავით აამუშაოს.

ქუჩის კარებს პატარა გოგონა მიღებს, მობრძანდითო მეუბნება და სახლისაკენ ხტუნვა ხტუნვითა და შეძახილით გარბის,-დედააა, გამოდი სტუმრები მოვიდნენ! დედის მაგიერ ეზოში მამა გამოდის, რადგან შინ სამი თვის პატარა ჰყავთ და სახლში გვეპატიჟება. მოზრდილი ბაშვები სიხარულით ხტუნაობენ, პატარები კი ყურადღებით მომჩერებიან.

30 წლის მაია გუგავა რვა შვილის დედაა. ამბობს, რომ 14 წლის გათხოვდა, ეკლესიურია და ამ ნიშნით არცერთი ორსულობა არ მოიშორა, შედეგიც სახეზეა - ვალერი, ლიკა, მარიამი, ნინო, შორენა, დათუნა, ორი წლის აბელი და სამი თვის ეკა. ყველა ერთმანეთზე უკეთესები და ლამაზები. - „თეთრწყაროს რაიონის სოფელ კოდაში ვცხოვრობდით. გვქონდა ერთი პატარა ოთახი და სხვა არაფერი, არც მიწის ნაკვეთი, არც ბაღჩა. ძალიან გვიჭირდა, ყველაფერი, მწვანილიც კი საყიდელი გვქონდა. გაჭირვების გამო მე და ჩემი მეუღლე ხშირად პატარა ბავშვებს მოზრდილების ანაბარა ვტოვებდით, მთელი დღე ჯართის მოსაგროვებლად დავდიოდით და ასე ვარსებობდით. მერე გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი, სოფლის სოციალური აგენტი, რომელმაც ჩვენი ოჯახის საბუთები ფონდ „იავნანას“ წარუდგინა. სწორედ „იავნანას“ წყალობით ველირსეთ ამ სახლს. მადლობლები ვართ მთელი საქართველოს მოსახლეობის და პაატა ბურჭულაძისა, რომელიც ამგვარ სასიკეთო საქმეს აკეთებს თავის ხალხისთვის და ქვეყნისთვის, - ყვება ჩვენთან საუბარში მაია გუგავა.

როგორც მრავალშვილიანი ოჯახისგან შევიტყეთ, მფლობელმა სახლი ავეჯიანად და ოჯახისთვის საჭირო ყველა ნივთიანად დატოვა. პირველი და მეორე სართულის ოთახებიც ახლად გარემონტებული და ნორმალური ავეჯითაა გაწყობილი, რაც დიდი შეღავათია ახლადჩამოსახლებული ოჯახისთვის. უფრო მეტიც, “იავნანამ” ბინის პატრონისგან მისივე ვენახი და მიწის ნაკვეთიც შეიძინა და ოჯახი დაასაქმა, რაც ყველაზე დიდი გარანტიაა სოფლად ოჯახის დამკვიდრებისთვის. ახლადჩამოსახლებული ოჯახის უფროსი, ბატონი დავითი(ჯიმშერი) ამბობს, რომ ის პროფესიით მშენებელია, თუმცა ოფიციალური სამსახურის შოვნა ამ კუთხით ალბათ გაუჭირდება. ამბობს, რომ აქ ჯერჯერობით ხალხს არ იცნობს და არ იციან, თუ რა შეუძლია მას, ამიტომ როგორც კი გამოიამინდებს კერძო შეკვეთებს ელოდება. მანამდე კი, მათი საარსებო წყარო 200 ლარიანი სოციალური დახმარება რჩება.-„მეუღლე,რომ სადმე დასაქმებული იყოს და ყოველთვიური ხელფასი ჰქონდეს, არ გაგვიჭირდებოდა ბავშვების გამოკვება. ამჟამად ორასლარიან დახმარებას ვიღებთ , რაც არ გვყოფნის. ზოგს ჩასაცმელი უნდა, ზოგს წიგნი და რვეული, ამიტომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძალიან გვიჭირს. ჯერჯერობით აქ დარეგისტრირება გაგვიჭირდა და მრავალშვილიანობის დახმარებას, ერთ ბავშვზე 10 ლარს ისევ კოდადან მაწვდის ჩვენი სოცაგენტი, თუმცა მეუბნება, რომ ეს ასე

(დასასრული გვ.4)

## ვაუჩერების დარიგება დაიწყო




გვ. 3

## როგორ ვიპოვოთ ნიჭიერი მუსიკოსები



გვ. 4

## კოჭაბიტაცია კახურად...

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

# ბიძინა ივანიშვილი – დავით უსუფაშვილმა კარგი გამოსავალი იპოვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისათვის პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის გაცემული პასუხი დადებითად შეაფასა. იგი ჟურნალისტებთან საუბრისას იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლითაც დავით უსუფაშვილმა მიხეილ სააკაშვილის ღია წერილს უპასუხა. მისი მოსაზრებით, დავით უსუფაშვილმა კარგი გამოსავალი იპოვა.

"ვიდრე კანონპროექტზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიცია არ გამოიხატებოდა, უმრავლესობა პრეზიდენტის გამოსვლას არ დაესწრებოდა და ეს იქნებოდა უხერხული როგორც პარლამენტის, ისე თავად პრეზიდენტისთვის. ეს კარგი გამოსავალია, თუმცა როგორც ვიცი, უმცირესობამაც მედიით გაიგო სააკაშვილის ამ განცხადების შესახებ. იგი პრინციპულად არ ავლენს რეაქციას კითხვაზე, სურს თუ არა გააგრძელოს დიქტატორული კანონით მოქმედება. ბოდიშის მოხდას მისგან არ ვითხოვთ, მაგრამ ამ კითხვას პასუხს ვერ სცემს", - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ცნობისათვის: პრეზიდენტმა პარლამენტს გუშინ ღია წერილით მიმართა და კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულების აღსრულებისა და პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენის თარიღის დანიშვნისკენ მოუწოდა. ამის პასუხად პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრეზიდენტს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართვის საშუალება, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსკენ ექნება, თუმცა მისი გამოსვლა იქნება ცარიელ კედლებში თუ პარლამენტში - დამოკიდებულია მის გადაწყვეტილებაზე, მზად არის თუ არა, რომ გაიზიაროს შეთავაზებული საკონსტიტიციო ცვლილება და პარლამენტს საკუთარი უფლებამოსილება დაუბრუნოს.

# ბიძინა ივანიშვილი – უგულავა ბიუჯეტის ფულს საკუთარ ნებაზე ხარჯავდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს არ ესმის, რატომ ეამაყება თბილისის მერს გიგი უგულავას ბიუჯეტის ფულის საკუთარ ნებაზე ხარჯვა.

მან ამის შესახებ ჟურნალისტებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. მისი თქმით, მას საარჩევნო კამპანიის პერიოდში კამპანიის დასაფინანსებლად საკუთარი ფული არ დაახარჯვინეს, გიგი უგულავა კი ბიუჯეტის ფულს საკუთარ ნებაზე ხარჯავდა.

"მან გაჭირვებული ხალხის ფული და დენზე ნაგვის გადასახადის მიზმით ამოღებული თანხა დახარჯა. მან პასუხი აგოს კონკრეტულ კითხვებზე", - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა ახალი მთავრობის 100-დღიანი საქმიანობის ანგარიში დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს დღეს თბილისში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გააცნო.

# რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტისთვის ასოციაცია დაფუძნდა

ღვინის მწარმოებლებმა რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტის მიზნით ახალი ორგანიზაცია „ქართული ღვინის ექსპორტიორთა ასოციაცია" დააფუძნეს. ასოციაციის მიზანი რუს იმპორტიორებთან ხელსაყრელი კავშირების გაერთიანებული ძალისხმევით დამყარება იქნება.

ღვინის მწარმოებლების განცხადებით, ასოციაციის ჩამოყალიბების აუცილებლობა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებისაკენ ორიენტირებული საზოგადოებრივი გაერთიანების არარსებობამ განაპირობა.

„ქართული ღვინის ექსპორტიორთა ასოციაცია" აპირებს მჭიდროდ ითანამშრომლოს როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან, ისე „როსპოტრებნადზორთან" და რუს მომხმარებელთა ინტერესების დამცავ ავტორიზებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

# პოლიციამ ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დააკავა

სამართალდამცავებმა სპორტის და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დააკავეს. მასთან ერთად დაკავებულები არიან მისი ქვისლი ვახტანგ ბიჭაშვილი და მეგობარი ზვიად ქავთარაძე, რომლის მიერ გასროლილმა ტყვიამაც, გამოძიების ინფორმაციით, დევი სირაძე იმსხვერპლა.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 22 თებერვალს, ღამით, დაკავებულები მეგობრებთან ერთად, ნუცუბიძის ქუჩაზე, ვლადიმერ ვარძელაშვილის საცხოვრებელ ბინაში სტუმრად იმყოფებოდნენ. ვლადიმერ ვარძელაშვილმა საკუთარი იარაღის კოლექციის დასათვალიერებლად მეგობრები გვერდით ოთახში გაიყვანა. მან ზვიად ქავთარაძეს საჩვენებლად „ტეტე"-ს სისტემის პისტოლეტი მიაწოდა, რა დროსაც ამ უკანასკნელს იარაღი გაუფრთხილებლობით გაუვარდა და ტყვია მოპირდაპირედ მდგარ დევი სირაძეს გულ-მკერდის არეში მოხვდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა," - აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ იარაღი რეგისტრირებული იყო ვლადიმერ ვარძელაშვილის ნათესავის სახელზე, რომელმაც 2010 წელს აღნიშნული პისტოლეტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრს საჩუქრად გადასცა.

ლადო ვარძელაშვილის ადვოკატის გოგიტა გაბაიძის განცხადებით, ლადო ვარძელაშვილს ამ დროისთვის ბრალი წარდგენილი არ აქვს. მისი ინფორმაციით, ლადო ვარძელაშვილის ბრალი იარაღის უკანონო შენახვა ტარებისთვის წარედგინება.

# „წყალმომარაგების კომპანიას" კახეთში ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კახეთის რეგიონულ მენეჯერად „ქართული ოცნების" აქტივისტი, 47 წლის ალექსანდრე შათირიშვილი დაინიშნა. როგორც შათირიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, ის კომპანიის თელავის სერვისცენტრის მენეჯერად მუშაობდა, საიდანაც 2012 წლის მარტში, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.

მისივე თქმით, განცხადების დაწერა კომპანიის მაშინდელმა რეგიონულმა მენეჯერმა ფარნა მაყაშვილმა მოსთხოვა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერი იყო და წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული.

„ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერი ვიყავი. ფარნა მაყაშვილმა მითხრა, რომ განცხადება უნდა დამეწერა, მიზეზი არ უთქვამს. როგორც ხდებოდა ხოლმე, უსამართლოდ, პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლეს. წყალმომარაგების კომპანიაში განცხადება შევიტანე, რომ უსამართლოდ ვიყავი გათავისუფლებული. რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდნენ და ამ თანამდებობაზე დავინიშნე," - განუცხადა ალექსანდრე შათირიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კახეთის უკვე ყოფილმა მენეჯერმა ფარნა მაყაშვილმა თანამდებობა 1 თებერვალს დატოვა. როგორც მან კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, გადაწყვეტილება შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან მიიღო. „არჩევნების შემდეგ ამ თანამდებობის დაკავება ძალიან ბევრ ადამიანს სურდა. ეს გადაწყვეტილება შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე მივიღე. როდესაც მსურველი ძალიან ბევრია და ყველანაირად ცდილობენ თავის მიზანს მიაღწიონ და დღეს ამის განსახორციელებლად ყველანაირი პირობა გააჩნიათ. არჩევნების შემდეგ, მე რა თქმა უნდა არ ვიყავი სასურველი კანდიდატი. ეს არ ეხება ჩემს ახალ ხელმძღვანელობას. მე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრიც ვარ და ჩემს საქმიანობას იქ გავაგრძელებ," - აღნიშნა ფარნა მაყაშვილმა.

# კინოთეატრი დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სულ მალე კინოთეატრი ამუშავდება. მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, მისი სურვილია, კულტურის სახლმა კინოთეატრის ფუნქციაც შეითავსოს.

მისი თქმით, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელთან ამ საკითხზე უკვე კონკრეტული დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს.

„დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მალე დედოფლისწყაროელებს ექნებათ თავშეყრისა და გართობის ადგილი. კულტურის სახლი კინოთეატრის ფუნქციასაც შეითავსებს. რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა იყოს მასშტაბური და ხელმისაწვდომი. პირველ ეტაპზე ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში შევიძენთ სპეციალურ მოწყობილობებს, შემდეგ კი ზემო ქედის დარბაზის მასშტაბებიც იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ მეორე ეტაპისთვის ეს იდეა ქედების ზონის მოსახლეობისთვისაც განვახორციელოთ," — აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი.



გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი საკითხზე აქტიურად მუშაობს.

ილია მარტყოფლიშვილი

# გუბერნატორების ინსტიტუტი უქმდება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ გუბერნატორების ინსტიტუტის გაუქმება იგეგმება.

მისი თქმით, კანონით განისაზღვრება სამხარეო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირება, სამხარეო დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი ელემენტები, რაც გულისხმობს წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას. ნარმანიას ინფორმაციით, ეს ორგანო იქნება ფორმირებული პირველ დონეზე არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. მხარეს ეყოლება აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის ხელმძღვანელიც იქნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ამ პოსტზე სამხარეო საბჭო სამ კანდიდატურას დაასახელებს და შემდეგ მთავრობას წარუდგენს, ხოლო მთავრობა აქედან ერთ-ერთს დაამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

მინისტრის განცხადებით, ორშაბათიდან დაიწყება 2013-2014 წლების საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების სახალხო განხილვები.

პროექტის მიხედვით, დღეს მოქმედ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ რწმუნებულებს საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები ჩაანაცვლებენ. ყველა სასოფლო დასახლებაში იფუნქციონირებს სოფლის კრება, აირჩევა კრების თავჯდომარე და წარმომადგენელთა საბჭოები. სოფლის საერთო კრებებს და არჩევით პირებს ექნებათ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში და სხვა პროგრამებით სოფლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის და შემდგომი მონიტორინგის ფუნქცია.

საზოგადოებრივ თვითმმართველობას არ ექნება დამოუკიდებელი ბიუჯეტი, მას გადაეცემა მისთვის დელეგირებული ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები.

2013 წელს, შეიქმნება საკანონმდებლო ბაზა, რომლითაც დასახლებები ან დასახლებათა ერთობლიობები ჩამოყალიბდება როგორც თვითმმართველი ერთეულები - თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი თემები. ამ მიზნით, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე კანონით დადგინდება მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩარჩო-კრიტერიუმები და პრინციპები. მათ საფუძველზე განხორციელდება სოფლების საზოგადოებრივ თვითმმართველობასთან შეთანხმების გზით, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით თვითმმართველი ერთეულების ფორმირება. ამის შემდეგ, დამტკიცდება თვითმმართველი ერთეულების ნუსხა და საზღვრები, რომლებშიც უნდა გაიმართოს 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები.

თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო არჩეულ იქნება 2 წლის ვადით. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელები (გამგებელი სოფელში/თემში და მერი - ქალაქში) არჩეულ იქნებიან პირდაპირი წესით.

მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებს მინიჭებული ექნებათ ძირითადად შიდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის საკითხები -მოქალაქეთა საცხოვრებელი, ყოფითი და სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხები ძირითადად კონცენტრირებული იქნება მუნიციპალურ დონეზე.

ყველა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცემა არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი მიწა (სავარგულები, საძოვრები, ტყე), წყალი, უძრავი ქონება. თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება (უძრავი და მოძრავი ქონება, არამატერიალური აქტივები), მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არაპრივატიზებული მიწის რესურსების დიდი ნაწილი. მუნიციპალიტეტი თავად გადაწყვეტს, არსებული რესურსებიდან რა გადასცეს დასახლებების საზოგადოებრივ თვითმმართველობას სარგებლობის უფლებით.

კანონით განისაზღვრება სამხარეო ტერიტორიულ- ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირებაც, რაც დღეს არსებული სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების სამოქმედო გეოგრაფიული არეალების მიხედვით მოხდება. სამხარეო ხელისუფლების დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი ელემენტები, რაც გულისხმობს მხარეების დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნას, ცალკეული ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭებას და დამოუკიდებლ ბიუჯეტს.

სამხარეო წარმომადგენლობითი ორგანო დაკომპლექტდება მხარეში შემავალი მუნიციპალური თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების წარმომადგენლებისგან. გათვალისწინებული იქნება საბჭოში ოპოზიციური სუბიექტების და უპარტიო წარმომადგენლების წარმომადგენლობის ასახვა.

მხარის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი იქნება მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამ კანდიდატს შეარჩევს სამხარეო საბჭო და წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელთაგანაც საქართველოს მთავრობა შეარჩევს და დაამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. მხარის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებაში ძირითადად შევა შედარებით მსხვილი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა, ასევე ბიზნეს-გარემოსთან/სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტები. სამხარეო დონეზე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ასევე დელეგირებული იქნება ძირითადად მსხვილი კაპიტალური პროექტები, საერთო ეროვნული პროგრამები.

2013 წელს, კანონმდებლობით განისაზღვრება მუნიციპალური და სამხარეო ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებები და მოხდება შემოსავლების გამიჯვნა. ყველა მუნიციპალურ თვითმმართველ ერთეულს და მხარეს ექნება საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. საგადასახადო შემოსავლების გამიჯვნის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ამოქმედება მოხდება ეტაპობრივად 2015-2017 წლებში. მხარის/თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციული ხარჯები არ იქნება ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 15%-ზე მეტი.

# ვაუჩერების დარიგება დაიწყო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებას იწყებს. ბარათების მისაღებად მოსახლეობამ ადგილობრივ საკრებულოებს უნდა მიმართოს.

ამასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომლები სტუმრობდნენ. ისინი დედოფლისწყაროს ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს შეხვდნენ და სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებასთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და გამგებლის მოადგილეები აკაკი ნატროშვილი და გივი გიგაური ესწრებოდნენ. ინსტრუქტაჟის დასრულების შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ დავით ცაგურიშვილმა დედოფლისწყაროელებს მიმართა:

- მინდა მივმართო თითოეულ დედოფლისწყაროელს: გამოიყენეთ ხელისუფლების შემოთავაზება და დაამუშავეთ თქვენს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები. ასეთი მასშტაბური პროექტი საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, ამიტომაც გთხოვთ ნუ გაუშვებთ შანსს. ჩვენი მიზანია, რომ საქართველოში არ იყოს არცერთი გოჯი დაუმუშავებელი მიწა. პროექტი გათვლილია მცირემიწიან ფერმერებზე, რომელთაც გააჩნიათ ნულიდან ხუთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ხუთ ჰექტარზე მეტს ფლობს, ხელისუფლებისგან მცირეპროცენტიან და გრძელვადიან სესხებს მიიღებს. სესხების გაცემა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან მოხდება. ეს იყო კოალიცია „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირება და ამ დაპირებების რეალური განხორციელება იწყება დღეს.



# ინფრასტრუქტურული პროექტები გაგრძელდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტისა და შპს ,, საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის" წყალმომარაგების გაუმჯობესების სამმართველოს ხელმძღვანელი პირები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ნატროშვილს შეხვდნენ. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი სოლომონ ღორაშვილი და შპს „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის" დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერი გიორგი გოგილაშვილი.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში სტუმრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად სოფელ გამარჯვებასა და სოფელ ქვემო ქედს ეწვივნენ, სადაც უახლოეს მომავალში საქართველოს წყალმომარაგების კომპანია ახალ ქსელს დაამატებს, საგზაო დეპარტამენტი კი მოასფალტებას დაიწყებს. ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ადგილზე განისაზღვრა სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების ვადები. საგზაო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის იოსებ ქადაგიშვილის განმარტებით 2013 წლისთვის დაგეგმილი სამუშაოები ამავე წლის სექტემბერში დასრულდება, მაგრამ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა დედოფლისწყაროში კვლავაც აქტიურად გაგრძელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა 2013 წელს დედოფლისწყაროსთვის ისტორიული წელი უწოდა და განაცხადა, რომ ცენტრალური ხელისუფლების კეთილი ნებითა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით წელს მუნიციპალიტეტში გრანდიოზული პროექტები განხორციელდება.

ირაკლი შიოლაშვილი სოფელ ზემო ქედშიც იმყოფებოდა, სადაც წითელი ჯვრისა და გამგეობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოსახლეობის უფასო გამოკვლევები მიმდინარეობდა და სოფლის რწმუნებულთან ბეჟან სუხაშვილთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ზემო ქედელებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს მათთვის საინტერესო თემებზე შეკითხვები დაუსვეს. საუბრის თემას ის ინფრასტრუქტურული პროექტებიც წარმოადგენდა, რომელიც სოფელ ზემო ქედს აწუხებს.

# პრობლემებს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება

გამგეობაში მორიგი ორშაბათის თათბირი გაიმართა, მას მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი შიოლაშვილი** უძღვებოდა. თათბირს ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები და სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ოზაანის რწმუნებულმა **გელა ოზაშვილმა** გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი, რომ თითქმის ორი წელია სოფელ თავწყაროში სახელფასო ანაზღაურების გარეშე მუშაობს პირი, რომელიც ადგილზე წყალმომარაგების საკითხებს კურირებს. რწმუნებულმა ასევე განმარტა, რომ ოზაანში, ერთ-ერთი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დავა კვლავ გრძელდება, მან საკითხის დარეგულირებაში დახმარება ითხოვა. განხილვაში დედოფლისწყაროს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ავთანდილ თეთრაული** ჩაერთო, მისი თქმით, ის საკითხს კარგად იცნობს:

„როგორც ვიცი, ამ სოფელში დავა 5-6 წელია გრძელდება. არაერთხელ ჩავედით და ადგილზე შევისწავლეთ ვითარება. ბატონი კოხტაშვილი სარგებლობს სასაფლაოს ტერიტორიით, თვითნებურად შემოღობა და იცავს სასაფლაოს საქონლისგან. ერთის მხრივ საკუთარ ცხენს აძოვებს, თუმცა მეორე მხრივ სასიკეთო საქმესაც აკეთებს და სრულიად უსასყიდლოდ იცავს სასაფლაოს, ამავე დროს ეზოს სათიბადაც იყენებს. ერთი შეხედვით, გამოუვალი სიტუაციაა, ვფიქრობ, თავად სოფელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც აღმოჩნდა, ამ ადამიანს ნახევარი სოფელი ემხრობა, ნახევარიც ეწინააღმდეგება. აქვეა უკანონოდ შემოღობილი ნაკვეთები, რომელსაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს. ჩამოვიყვანეთ სატყეო დეპარტამენტი და როცა შევისწავლეთ, მათი ქმედება სერიოზულ ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებდა. მაშინ დაგვემორჩილნენ, აშალეს მესერი, მაგრამ თვითნებობა კვლავ გაგრძელდა," - აღნიშნა თეთრაულმა.

საუბარში გამგებლის მოადგილე **აკაკი ნატროშვილი** ჩაერთო. მისი თქმით, დედოფლისწყაროში რამდენიმე სასაფლაოს ჰყავს ოფიციალურად დანიშნული დარაჯი, დანარჩენები კი კვლავაც უყურადღებოდაა მიტოვებული და საკითხიც გადაჭრას საჭიროებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ იქნებ მუნიციპალიტეტში შეიქმნას რაიმე ოფიციალური სამსახური, რომელიც სასაფლაოების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე იზრუნებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე ამიერიდან ყურადღებას აქტიურად გაამახვილებს. ამის შესახებ სწორედ გამგეობის თათბირზე გახდა ცნობილი.

„სასაფლაოს, რომელსაც სოფელი ვერ უვლის, გამგეობა მიხედავს!.. პირველ რიგში სასაფლაოების შემოღობვის და დარაჯის საკითხი უნდა მოგვარდეს, ყველა სოფელში ინდივიდუალურად... შევხვდეთ ხალხს და როგორც სოფლებში მოსახლეობას ენდომება, ისე გადაწყდეს," - განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა.

ზემო ქედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული **ბეჟან სუხაშვილი** თათბირზე დაინტერესდა, თუ რა იგეგმება მიმდინარე წლისთვის „სოფლის დახმარების პროგრამის" ფარგლებში და როგორ მოხდება პრიორიტეტული საკითხების გამოვლენა.

სოფელ ფიროსმანის რწმუნებულმა **თემურ მურვანიძემ** ფიროსმანსა და ქვემო ქედს შორის არსებული საზღვრის დაზუსტება და მისთვის გაცნობა ითხოვა, რათა არ მოხდეს საქონლის უკანონო ძოვება და სხვა სოფლის ტერიტორიაზე გადასვლა, რამაც, შესაძლოა, მოსახლეობაში კონფლიქტი გამოიწვიოს.

აღინიშნა, რომ უნარშეზღუდულთა თითოეული ეტლი 700 ლარამდე ღირს, რამდენიმე დღის წინ კი დედოფლისწყაროში ამგვარი ეტლები 10 ადამიანს გადაეცა. გამგებლის განმარტებით, ის ცდილობს მომდევნო ეტაპზე 15 ეტლი ჩამოიტანოს.

გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა **სოლომონ ღორაშვილმა** სოფლის რწმუნებულებს სთხოვა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან განსახორციელებელი პროექტებისთვის 8 მარტამდე ყველა სოფლიდან საპროექტო წინადადება მზად უნდა იყოს. ამიტომ, აუცილებელია, რწმუნებულები დროულად ჩართონ და ყველა საჭირო ინფორმაცია წარმოადგინონ.

როგორც გამგებელმა აღნიშნა, „წითელი ჯვრის" უფასო კვლევების დროს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით საბოლოო ჯამში ცუდი ვითარება არ გამოკვეთილა. მხოლოდ 2 პაციენტი მოთავსდა სტაციონარში, პირველ დღეს 160 მოქალაქე გამოიკვლიეს, შემდეგ დაახლოებით 200 და მოქალაქეები დამშვიდებულები მიდიოდნენ, რადგან საგანგაშო არაფერი აღმოჩენილა.



„მოგეხსენებათ, ეს აქცია „წითელ ჯვართან" ერთად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსებით განახორციელა. ეს ერთჯერადი არ არის და მომდევნო თვეების განმავლობაში დედოფლისწყაროს ყველა წერტილში განხორციელდება. საბედნიეროდ, მეგობრული და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ მათთან და ხშირად ჩამოვლენ იმის მიხედვით, მათი სამუშაო გრაფიკი როგორც მოგვცემს საშუალებას. ამ აქციაზე სადაზღვევო კომპანიების პოლისის მფლობელი მოქალაქეებიც დაიშვებიან. უფასო გამოკვლევები ჩაუტარდება ნებისმიერ მსურველს, ვისაც ეს გამოკვლევები სურს. გვინდა, მაქსიმალურად ბევრ ოჯახს შეეხოს სიკეთე. ასე რომ, ამიერიდან ისინი სისტემატიურად ივლიან დედოფლისწყაროში," - აცხადებს ირაკლი შიოლაშვილი.

მოგვიანებით ქედების ზონის რწმუნებულებმა აღნიშნეს, რომ ამ სოფლებში წყლის დებეტის პრობლემაა. მათი განმარტებით, ამჟამად იქ ერთდღიანი გრაფიკი მოქმედებს. მოსახლეობას სურს, რომ შეძლებისდაგვარად გრაფიკი გაუმჯობესდეს. ამ საკითხზე ირაკლი შიოლაშვილმა განმარტა, რომ პრობლემა, რომელიც რამდენიმე სოფელს ერთობლივად აწუხებს, შესაძლებელია გაერთიანდეს და ერთად გადაიჭრას.

„ახლახან, კახეთის გუბერნიაში რეგიონის გამგებლები ვიყავით მიწვეული, სადაც ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შეგვხვდა. იქაც აღინიშნა, რომ ერთნაირ საკითხებზე შესაძლებელია ერთობლივად რამდენიმე რაიონმა იმუშაოს. ასე მოვიქცეთ სოფლებთან მიმართებაშიც, რამდენიმე სოფლის რწმუნებულმა ერთობლივად იმუშავეთ საკითხზე, რომ ერთიანად მოგვარდეს პრობლემა," - აღნიშნა გამგებელმა.

როგორც მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს უფროსმა **მარინე ბენაშვილმა** თათბირზე განაცხადა, მათ სამსახურში მოქალაქეთა აქტივობა კვლავაც ფიქსირდება. ბენაშვილის განმარტებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში შეშით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბიუროში დმატებით 31 განაცხადი კიდევ შევიდა.

ირაკლი შიოლაშვილი ამბობს, რომ წელს შეშის დახმარებით უპრეცენდენტოდ ბევრი ოჯახი ისარგებლებს: „დედოფლისწყაროში 600-მა ოჯახმა დახმარება უკვე მიიღო, პროცესი კვლავაც გრძელდება. მსურველთა უპრეცენდენტოდ დიდი რიცხვი ფიქსირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ რადგან სიტყვა ვთქვით, ყველაზე კარგი სოციალური ფონი დედოფლისწყაროში უნდა იყოს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვითარება უნდა გავაუმჯობესოთ. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ამისთვის და ძალები არ დავზოგოთ."

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელის **მაია ხუმარაშვილის** განმარტებით, საბავშვო ბაღებშიც ვითარება ნორმალურია. მისი თქმით, საკვები სრულიად საკმარისია. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი სულ მალე გამოაცხადებს ტენდერს ავეჯის შესაძენად. წლის ბოლომდე სოფელ ფიროსმანში უნდა გაიხსნას საბავშვო ბაღი, 31 აღსაზრდელი უკვე რეგისტრირებულია.

გამგებელმა აღნიშნა, რომ ახალმა ხელისუფლებამ სამი პრიორიტეტი გამოყო. წყალი, შიდა გზები და ნაპირსამაგრი სამუშაოები. შიოლაშვილის განმარტებით, წელს ჩვენს ქვეყანაში ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმართულებით 1 მილიარდი ლარი დაიხარჯება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სოფელ ფიროსმანის და სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულებმა **თემურ მურვანიძემ** და **გულო ნადირაშვილმა** აღნიშნეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნაპირსამაგრი სამუშაოების პრობლემა მხოლოდ ამ სოფლებში დგას.

ილია მარტყოფლიშვილი

# როგორ ვიპოვოთ ნიჭიერი მუსიკოსები



მარინა კიკილაშვილი პროფესიონალი მუსიკოსია. მან 1976 წელს დაამთავრა მუსიკალური სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილება, მისი დასრულების შემდეგ მოღვაწეობდა ფილარმონიაში მუსიკოს-შემსრულებლად, 1984-89 წწ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1989 წლიდან მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის რანგში, თუმცა, ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა. 2012 წლიდან ხელოვნების სკოლის დირექტორია. ახლა ის იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც წლების წინ თანამდებობას პედაგოგობა არჩია:

„სამუსიკო სკოლაში მოსვლისთანავე მივხვდი, რომ შემოქმედებითი კრიზისი გარდაუვალი იყო. ვამბობდი, რომ სასწავლო სტრუქტურა და სასწავლო პროგრამა ძირეულ ცვლილებებს მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიშლებოდა მთლიანი სისტემა. ამ მიზეზების გათვალისწინებით უარი ვთქვი თანამდებობაზე და პედაგოგად დავრჩი. ამ პროცესებს მოგვიანებით ეკონომიკური კრიზისიც დაემატა და ვხედავთ, რა სიტუაციაა დღეს სამუსიკო სკოლებში. ახლა თანამდებობას იმ მოსაზრებით დავთანხმდი, რომ შემიძლია ზეწოლის გარეშე განვახორციელო სკოლის რეფორმა“.

**- დღეს რა პრობლემების წინაშე დგას სამუსიკო სკოლა?**

- პრობლემათა მთელი ჯაჭვი არსებობს, თუმცა მათი მოგვარებისთვის დროა საჭირო. მთავარი პრობლემა ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული. საკონცერტო დარბაზის ორი როიალის შიდა მექანიზმი ყინვამ და ნესტმა საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან. თუ არ შეიქმნა მათი შენახვის შესაბამისი პირობები, ახალი ინსტრუმენტების შეძენას აზრი არა აქვს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას ყურადღებისთვის, მათი ძალისხმევით ჩვენს სკოლას წელს ცენტრალური გათბობის პრობლემა მოუგვარდება, ასევე ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები.

**- თქვენ შემოქმედებით კრიზისზე საუბრობდით. როგორ გესახებათ მისი დაძლევა დღეს?**

- საბჭოთა სკოლის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ წმინდა ევროპული სკოლა იყო, გათვლილი ბავშვების ინსტრუმენტალისტად ჩამოყალიბებაზე. არ იყო გათვალისწინებული ბევრი ფაქტორი, მათ შორის - ინდივიდუალურობა, ნაციონალური ბუნება, ამიტომ მხოლოდ რჩეულებს უყვარდათ მუსიკა და დანარჩენ ბავშვებს არ უნდოდათ სამუსიკო სკოლაში სიარული. სკოლის რეფორმა, რომლის განხორციელებასაც მე ვაპირებ, რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სწავლების პირველი წელი დაეთმობა მოსწავლეების უნარების შესწავლას და შემდეგ მათი მისწრაფებისა და ნიჭის შესაბამისად მოხდება გადანაწილება სხვადასხვა - საფორტეპიანო, საგუნდო თუ მუზიცირების განყოფილებებზე. თუ ბავშვს კარგი მუსიკალური მონაცემი აქვს, მისგან პროფესიონალი მუსიკოსი ჩამოყალიბდება, ხოლო თუ ინტელექტი სჭარბობს, მაშინ მისგან კარგ მსმენელს მივიღებთ. რეფორმას, სავარაუდოდ, ორი წელი დასჭირდება.

ვუსმენ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნებისმიერ თანამდებობაზე მაღლა მისთვის მუსიკის სიყვარული და მისთვის მსახურებაა. ამას უკვე წლებია, ჩუმად და უხმაუროდ აკეთებს. ძალიან განათლებული და მგრძნობიარეა, ნამდვილი შემოქმედებითი ნატურა. ამიტომაცაა, ნიჭს სხვაგვარად აფასებს, ბედნიერია, როცა მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ იმ მოსწავლეებზე საუბრობს, მისი მასწავლებლობა რომ ერგოთ წილად... გულდაწყვეტით ამბობს, რომ ზოგიერთმა მისმა მოსწავლემ პროფესია შეიცვალა, ზოგი კი საერთოდ არ გაყვა მუსიკას, თუმცა, მაინც ბედნიერია, ასეთი მოსწავლეები რომ არგუნა განგებამ. „ისინი არ იღლებოდნენ, რადგან მათში იყო მუსიკა. დროის შეგრძნება გვეკარგებოდა, დარაჯი კი იჯდა და გველოდებოდა, როდის დავტოვებდით საკონცერტო დარბაზს“ - იხსენებს მარინა. მოსწავლეებთან ასეთ გამორჩეულ დამოკიდებულებას კი სულ ერთი ფრაზით ხსნის: “მასწავლებელი ფსიქოლოგიც უნდა იყოს და ინტელექტუალიც“. დანანებით ამბობს, რომ ეს იყო წარსულში.. თანამდებობაზე დათანხმების მთავარი მოტივი კი სწორედ შემოქმედებითი კრიზისის დაძლევა და ნიჭიერი მუსიკოსების აღზრდაა.

ინგა შიოლაშვილი

# „ივანანას“ ბედნიერება მოაქვს!

(პირველი გვერდიდან)

ველარ გაგრძელდება და საჭიროა დროულად გადმოვიტანო აქ საბუთები, მე კი, პატარა ბავშვი მყავს, როგორ წავიდე?! მართალია აქ შედარებით უკეთესი პირობები გვაქვს, საკუთარი ბაღჩა მაქვს , დავთესავ რამეს და მივიღებ, მიწასაც დავამუშავებთ, მაგრამ ეს რომ ვერ შეგვინახავს, იმასაც ვგრძნობ და შიში მიპყრობს.“-ამბობს ქალბატონი მაია.

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას და სოფლის რწმუნებულს, მათი ყურადღებით ოჯახი კმაყოფილებას გამოხატავს. ამბობენ, რომ სოფლის რწმუნებულმა მამუკა კოჭლამაზაშვილმა რამდენჯერმე მოიკითხა და ერთ ტომარა ფქვილის მიტანას, სათბობი შეშის მაგიერ კი, თანხით, ასი ლარით დახმარებას დაპირდათ, თუმცა ჯერ-ჯერობით დანაპირები არ მიუღიათ და იმედს იტოვენ, რომ დაეხმარებიან.

მომეჩვენა, რომ ბავშვებს ექიმის მეთვალყურეობა აკლდათ, განსაკუთრებით კი, მცირეწლოვნებს. როგორც ოჯახის დიასახლისი ამბობს, მას სოფლის ექიმთან ბავშვების ვიზიტი არ განუხორციელებია, არც აღრიცხვაზე აუყვანია, თუმცა არც ჯანდაცვის სფეროდან მიუკითხებია მათთვის ვინმეს. იმედს ვიტოვებთ ამ სტატიის შემდეგ მაინც ეწვევიან გუგავების ოჯახს ბინაზე სოფლის მედიკოსები.

ბოლოს კი მინდა გითხრათ, რომ ჩემი იქ ყოფნისას, ისეთი ფაცი-ფუცი, ისეთი სითბო, ისეთი ერთსულოვნება და ურთიერთსიყვარული იყო ახლადჩასახლებული გუგავების ოჯახში, რომ ცხადია, - ის ცოტათი დახეული და შემოცვეთილი ტანისამოსი, ცოტათი ნაკლებკალორიული საკვები და ცოტა სათამაშოების ნაკლებობასაც, სულაც არ უშლის ხელს მათ ბედნიერებას და ურთიერთსიყვარულით ცხოვრებას.

ლალი მეხრიშვილი.



# დედა უნივერსიტეტს თუ გაუჭირდა, ყველა ფეხზე დავდგებით!

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 წელი შესრულდა 14 თებერვალს. ეს დღე ფართოდ აღნიშნა უნივერსიტეტმა. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მწიგნობართა ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის მდივნის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივით. შეხვედრაზე მოიწვიეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა თითქმის ყველა თაობა და დღევანდელი სტუდენტები. ეს იყო დაუვიწყარი, მღელვარე წუთები თითოეული მათგანისთვის.

ღონისძიება გახსნა და უნივერსიტეტის 95 წლისადმი მიძღვნილი წიგნის „RettuLIT-ლიტერატურული დაბრუნება 1918-2013…,, პრეზენტაცია წარმოადგინა **ნანა ჭიჭინაძემ**. ამ დღის სამახსოვროდ შეხვედრის ყველა მონაწილემ ავტოგრაფი დატოვა აღნიშნულ წიგნზე, რომელიც მუზეუმში შეინახება.

დამსწრეთ უნივერსიტეტის დაარსების და მის მიერ განვლილი გზის შესახებ ესაუბრა მისი კურსდამთავრებული **თამარ ლობჯანიძე**:

- „1971 წელს საქართველოში მოელოდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს, თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს მეფის მისართმევად. თავადაზნაურთა კრებამ, რომელიც ამ შემთხვევისათვის იყო მოწვეული, ახალი თაობის ზეგავლენით,დაადგინა მეფისათვის ეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. მაგრამ თავადაზნაურობის მემარჯვენე ნაწილმა გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც ნაცვლად უნივერსიტეტისა, მოითხოვდნენ სამხედრო სასწავლებლის გახსნას. სწორედ ამ ადრესის ისტორიამ გამოიწვია დიდი შეხლა-შემოხლა და კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „მამების“ მხრით გრ. ორბელიანმა, ხოლო „შვილების“ მხრით ი. ჭავჭავაძემ. ცხადია, ისტორიული სიმართლე პროგრესის მქადაგებელი მოწინავე ახალი თაობის მხარეზე იყო. შვილების ღვაწლსა და მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია, 1918 წელს, 26 იანვარს, ახალი სტილით 14 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა, რომელსაც მეთაურობდა ივ. ჯავახიშვილი. დამფუძნებლები იყვნენ კონსტანტინე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე, ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე და პეტრე მელიქიშვილი. ივანე ჯავახიშვილის წარდგენით, უნივერსიტეტის პირველ რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ხოლო 1919-1926 წლებში თსუ რექტორი ივ.ჯავახიშვილი იყო. 1926 წელს საბჭოთა რეჟიმის გადაწყვეტილებით იგი გაათავისუფლეს რექტორის მოვალეობისაგან და კარგა ხნით აუკრძალეს მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა.



ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროს მთელ კავკასიაში. პირველი სემესტრის განმავლობაში იგი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო და მხოლოდ მეორე სემესტრიდან გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად.

1991 წლის 14 ოქტომბერს თსუ-ს რექტორად დაინიშნა როინ მეტრეველი. 1992 წელს მისი ძალისხმევით თსუ-მ ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი აღიდგინა,რაც 1926 წლის შემდეგ დაკარგული ჰქონდა. 1992 წლის 18 აპრილს უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ როინ მეტრეველი თსუ-ს რექტორად აირჩია. პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ როინ მეტრეველი პირველი არჩეული რექტორი იყო.

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ივ. ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა გადადგა ერთ-ერთი პირველი გაბედული ნაბიჯი დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებამდე იმ კუთხით, რომ საქართველოში შეიქმნა კულტურული კერა, უნივერსიტეტის სახით, რაც აგრერიგად სჭირდებოდა ქვეყანას. სწორედ უნივერსიტეტმა შეძლო ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება, ასევე ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მსახურება. აღზარდა ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლები. თსუ-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას.

დღევანდელი უნივერსიტეტიც მიზანმიმართულად აგრძელებს ისტორიულ მისიას. მის ძირითად გამოკვეთილ მიზანს კვლავ წარმოადგენს საქართველოში თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა. კულტურისა და მეცნიერების განვითარება, ერის ცივილიზაციის დონის ამაღლება. ამიტომ, დღესაც ქართველი ხალხი თბილისის უნივერსიტეტს სიყვარულით და პატივისცემით მეცნიერების წმინდა ტაძარს უწოდებს.

დღეს უნივერსიტეტში ახალგაზრდების აღზრდასა და მეცნიერული წრთვნის საქმეს 3275 პროფესორ -მასწავლებელი ემსახურება. მათგან 55 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 595 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 1246 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატია.

თბილისის უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო პედაგოგიურ ცენტრთან.

უნივერსიტეტში ფართოდაა გაშლილი სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა, ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა შემაჯამებელი სამეცნიერო კონფერენციები. ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ მხატვრულ თვითშემოქმედებაში. ასევე თვალსაჩინოა უნივერსიტეტის სპორტული მიღწევები“-თქვა თავის გამოსვლაში თამარ ლობჯანიძემ.

პირველი სიტყვა **ცაცა ბენაშვილს** ერგო, რომელიც თსუ-ს ასოცირებული პროფესორი და მოქმედი ლექტორია ინგლისური ენის კათედრაზე, ის, ამავდროულად, დამაარსებელი და დირექტორია დედოფლისწყაროს გაძლიერებული ინგლისური ენის სწავლების კერძო სკოლისა - „ბენაური“. - უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება მუდამ ყოველგვარი ეროვნულის ინიციატორი, ის ჩვენი ერის მეობა და ზნეობაა და ამაში ვერც ვერავინ დაუდებს ტოლს და ვერც ვერავინ აღმოფხვრის. მართალია, ისე, როგორც ჩვენს ქვეყანას, მასაც უჭირს დღეს, მაგრამ ეს დროებითია, მისი სული ცოცხალია და თუ დასჭირდა დედა უნივერსიტეტს, ყველა ფეხზე დავდგებით! მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სტუდენტობა უნი-

**(გაგრძელება გვ. გვერდიდან)**

# ჰაველის გაფრთხილება



პარტია არ უნდა იყოს ის გარემო, სადაც ძალაუფლების დასაუფლებლად გამიზნული საძმოები იბადება

ამას წინათ, ჩეხი მოღვაწის, დრამატურგის, დისიდენტისა და პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ქართულად ნათარგმნი წიგნი "გთხოვთ, მოკლედ" ჩამივარდა ხელში. წიგნში ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი არაერთი პრობლემის შესახებაა საუბარი, რაც ამ პრობლემების ზოგად კონტექსტში დანახვისა და გააზრების მშვენიერ საშუალებას იძლევა.

გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად, „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდგომი ჩეხეთის შიდაპოლიტიკური და სოციალური მოვლენები, რომლებზეც მოგვითხრობს ავტორი, ხშირად საოცრად ეხმიანება საქართველოში მიმდინარე პროცესებს. რომ არ ვიცოდეთ, რომელ ქვეყანაზეა ლაპარაკი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პრეზიდენტ ჰაველის გამონათქვამები, მსჯელობა და საზოგადოებაში დამკვიდრებული მცდარი შეხედულებების კრიტიკა პირდაპირ ეხება ქართულ რეალობას. აი მაგალითებიც:

ჩეხური საზოგადოება -

**..ასეთი უხეში ჩარევა ჩვენს წმინდად ჩეხურ საქმეებში! ჩვენს პატარა ჩეხურ სალორეს ჩვენითვე მოვუვლით და არ გვჭირდება ამაში გადამთიელთა დახმარება!..**

ვაცლავ ჰაველი —

მოისმენ თუ არა ადამიანი მსგავს აზრებს, დაგეუფლება ფარული სურვილი, რომ დემოკრატიული, განათლებული და კულტურული ევროპა კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობდეს ჩვენი ჩეხური საქმეების შესახებ. ცხადია, ეს ჩვენსავე ინტერესებში იქნებოდა. მეჩვენება, რომ ამ პროვინციალური ღვარძლის, სხვების მიმართ გულგრილობისა და განსხვავებული აზრის მიმართ შეურიგებლობის ამოფრქვევებს წინ უძღვის ხოლმე სახელმწიფო საზღვრების შემცირება. მიუნხენის შემდგომ წაგვართვეს სუდეტის ოლქი, სახელმწიფოს გაყოფის შემდგომ დავკარგეთ სლოვაკეთი. მსგავსი შემთხვევების შემდეგ კი ისმის ხოლმე კანონზომიერი მოწოდებები საზოგადოების შემდგომი გაერთგვაროვნებისაკენ:

**..თავიდან მოვიშოროთ ებრაელები, შემდეგ გერმანელები, შემდეგ ბურჟუაზია, შემდეგ დისიდენტები, შემდეგ სლოვაკები..**

ვაცლავ ჰაველი —

და ვინ იქნება სიაში შემდეგი? ბოშები? იქნებ საერთოდ ყველა უცხოელი? და ვინღა იცხოვრებს აქ? წმინდა სისხლის "ჩეხუკელები" თავიანთ ეზუკებში? არაა ლაპარაკი მხოლოდ იმაზე, რომ ასეთი შეხედულებები და მითუმეტეს ასეთი პოლიტიკა ამორალურია. ეს, უბრალოდ თვითმკვლელობის ტოლფასია!

ჩეხი ჟურნალისტი კარელ ჰვიჟძალა —

**დღემდე ისევ უნდობლად უყურებთ პოლიტიკური პარტიების როლს თანამედროვე დემოკრატიაში?**

ვაცლავ ჰაველი -

მიმაჩნია, რომ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული პოლიტიკის ერთ — ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და არაფრით მისი არსი ან უმაღლესი წერტილი. პარტია უნდა იყოს გარემო, სადაც ხალხი ახლოვდება, ხვეწს საკუთარ შეხედულებებს, ეცნობა სპეციალისტთა თვალსაზრისს, რომელიც აყალიბებს პოლიტიკოსთა პიროვნებას და შემდგომ მათ პირად პოლიტიკურ ნებას. მაგრამ არ შეიძლება, რომ თავისი მნიშვნელობით უსწრებდნენ სახელმწიფოს ისეთ ოფიციალურ ინსტიტუტებს, როგორიც არის პარლამენტი ან მთავრობა, უნდა ემსახურონ მათ და არა დაიქვემდებარონ.

პარტია არ უნდა იყოს ის გარემო, სადაც ძალაუფლების დასაუფლებლად გამიზნული საძმოები იბადება, ნახევრად არალეგალური სახელმწიფო მეგასტრუქტურა. პარტია უნდა იყოს ერთგვარი დამაგვირგვინებელი მორთულობა იმ ნამცხვრისა, რომელსაც მრავალსახად სტრუქტუირებული სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, სივრცე, რომელიც საზოგადოებიდან იწოვს საზრდოს, რათა შემდეგ მას პოლიტიკური შეჯიბრებისათვის გამოსაყენებელი სახე მისცეს. იქ, სადაც ჩაჩანაკდება სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი ცხოვრება დაცემის გზაზეა, ადრე თუ გვიან დაჩაჩანაკდებიან პოლიტიკური პარტიებიც და გადაიქცევიან მყრალ გეტოდ ერთადერთი დანიშნულებით, გააძვრინონ თავისი წევრები რაც შეიძლება მაღლა, ძალაუფლებისაკენ. დაუშვებელია, რომ საზოგადოებრივ ინტერესებზე მნიშვნელოვანი იყოს პარტიული ინტერესები, რომლებიც პირიქით, უნდა ემსახურებოდნენ მას. ლოიალობა სახელმწიფოს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ინტერესებისა თუ პიროვნების სინდისის მიმართ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ლოიალობა რომელიმე პარტიის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიები შობენ უსახურ ადამიანებს, რომლებიც ერთგვარი "ანტი ენით" საუბრობენ და ხალხში ზიზღს იწვევენ. პარტოკრატიას, პარტიული სამდივნოებისა და პოლიტბიუროების მთავრობებს ჩვენში დიდი ტრადიცია აქვთ და დღესაც გვემუქრება ეს მოვლენა. ვუახლოვდებით სიტუაციას, როცა ხალხს შერცხვება რომელიმე პარტიისათვის ხმის მიცემა, რომ არაფერი ვთქვათ წევრობაზე, რაც პირდაპირი გზაა დემოკრატიის დაცემისაკენ. სხვათა შორის, რაც უფრო ფანატიკურად მიმდევარია ვინმე რომელიმე პარტიისა, მით უფრო ეეჭვება, რომ არ ვარ პარტიების კეთილმოსურნე ან სულაც მათ მოწინააღმდეგეობაში მადანაშაულებს. მე კი სხვა არაფერი მინდა გარდა იმისა, რომ საპარლამენტო დემოკრატიის ფარგლებში პარტიების როლი იყოს შემოქმედებითი, მაგრამ მოკრძალებული, ანუ შეასრულონ როლი, რომელსაც უნდა ასრულებდნენ და ამით საზოგადოების დაცინვის მაგიერ პატივისცემა დაიმსახურონ.

მოამზადა
მიხეილ მღებრიშვილმა

# კოჰაბიტაცია კახურად...



რატომ ვერ ხერხდება თანამშრომლობა გუბერნატორსა და გამგებლებს შორის

***კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს ზურაბ ჭიაბერაშვილს მუნიციპალიტეტის გამგეობებში „უჯარო გენერლად" მოიხსენიებენ. კახეთის რვა რაიონის ხელმძღვანელიდან ჭიაბერაშვილთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი არცერთ მათგანს არ აქვს. გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები არც ჟურნალისტებთან საუბარში უარყოფენ, რომ ჭიაბერაშვილთან თანამშრომლობა არ სურთ. ზოგიერთი გამგებელი განსაკუთრებით რადიკალურია და ხაზგასმით ამბობს, რომ ჭიაბერაშვილთან შეხვედრას არც მომავალში აპირებს.***

მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი თვეა კახეთის რეგიონში ქართული ოცნების მხარდამჭერებმა დაიკავეს გამგებლის თანამდებობა, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ამ დრომდე არ ჩატარებულა თათბირი. ზოგიერთი გამგებელი ამბობს, რომ მათთან შეხვედრის სურვილი არც ზურაბ ჭიაბერაშვილს გამოუთქვამს.

თავად ჭიაბერაშვილს ამ საკითხზე ჟურნალისტებთან საუბარი არ სურს, მისი მოადგილე გიორგი ბოტკოველი კი ამბობს, რომ ყველა რაიონის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობენ და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ერთად მსჯელობენ.

„გუბერნატორს არ შევხვედრივარ და არც შევხვდები. არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს," — ასეთ კატეგორიულ კომენტარს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჯონი ოსიაშვილი აკეთებს და მიიჩნევს, რომ ჭიაბერაშვილთან შეხვედრის საჭიროება არც მომავალში იქნება.

„თუ ჭიაბერაშვილს, რაიმე საქმე აქვს, წინააღმდეგი არ ვარ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს ეწვიოს. ჩამოვიდეს, მობრძანდეს გამგეობაში, ჩვეულებრივად როგორც სხვადასხვა ჯგუფებს, თუ ჩინოვნიკებს ვღებულობ, ისე მივიღებ გუბერნატორსაც. რაც შეეხება ჩემს გუბერნიაში ჩასვლას, მე არანაირი საქმე არა მაქვს და შესაბამისად, მასთან შეხვედრის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ერთადერთი, გუბერნატორთან მხოლოდ წერილობითი ურთიერთობა გვაქვს. ოფიციალური წერილები მივიღე და პასუხი დავუბრუნეთ," — განუცხადა „შირაქს" დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა.

ყვარლის გამგებელი დავით ქევხიშვილიც ამბობს, რომ საჭიროება არ ყოფილა, აქამდე არც გუბერნიიდან გამოუთქვამთ შეხვედრის სურვილი და ამიტომაც მათ შორის შეხვედრა ჯერ არ შემდგარა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი ამ თანამდებობაზე 2012 წლის ოქტომბრიდან მუშაობს. მიხეილ სააკაშვილმა კახეთის გუბერნატორად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი მას შემდეგ დანიშნა, რაც გიორგი ღვინიაშვილმა საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

ქართველი ექსპერტებიც მიიჩნევენ, რომ ჩვენს ქვეყანაში კოჰაბიტაციის ფონზე ამ ეტაპზე გუბერნატორის ფუნქციები გამოკვეთილი არ არის და ვითარება დასალაგებელია. ექსპერტი დემურ გიორხელიძე ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებელია, თუმცა მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება ცვლილებებისთვის მზადყოფნას ამ ეტაპზე არ ამჟღავნებს.

„დაულაგებელი სიტუაციაა... გამგებელი მაინც აღმასრულებელი ხელისუფალია ადგილზე... გუბერნატორის ფუნქციები არაა გამოკვეთილი და უფრო ხელისუფლების საზედამხედველო სახის ფუნქციით შემოიფარგლება, თუმცა, ავტორიტარულ დონეზე. როცა გადაწყვეტილი არ არის ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, როცა არანაირი თვითმმართველობა აღარ არის დატოვებული ქვეყანაში ძველი ხელისუფლების მიერ, ყველა თანამდებობა პირველი დონიდან საშუალო დონის ჩათვლით, როგორიცაა გუბერნატორების თანამდებობა, ერთიანი ვერტიკალური დაქვემდებარების კონტექსტშია მხოლოდ გასააზრებელი და გუბერნატორებს რაიმე დამოუკიდებელი ფუნქცია, დამოუკიდებელი რესურსი საკუთარი ავტონომიური ფუნქციის შესასრულებლად აღარ გააჩნიათ... რაც შეეხება ამ სიტუაციიდან გამოსავალს, თუ კონსტიტუციურად, ანდა ორგანული კანონის დონეზე არაფერი შეიცვალა, ეს ფუნქცია პრეზიდენტის უფლებებშია დღეის მდგომარეობით! ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ქვეყნისა არის ღერძული საკითხი, მისი გადაჭრის გარეშე სულ იქნება პრობლემები. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ხელისფლება მზად არის ამ ფუნდამენტური საკითხის გადასაჭრელად," — განუცხადა გაზეთ „შირაქს" დემურ გიორხელიძემ.

ზურაბ ჭიაბერაშვილი კონტროლის პალატიდან კვლავაც კახეთში გადატყორცნილ გიორგი ბოტკოველთან ერთად, რომელიც მისი მოადგილეა, რეგიონში გამართულ მხოლოდ რამდენიმე ოფიციალურ ღონისძიებაზე გამოჩნდა. გუბერნატორის რანგში პირველად ის დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის ეზოში გამართულ ფიროსმანობის დღესასწაულზე გამოჩნდა, მუზეუმს ეწვია და მალევე გაუჩინარდა. თუმცა, იმხანად, კახეთის მუნიციპალიტეტებს ჯერ კიდევ ნაცმოძრაობის გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები მართავდნენ. სწორედ მას შემდეგ დაიწყო მასობრივი წმენდა. თავდაპირველად ერთმანეთის თანმიმდევრულად გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები გადადგნენ, შემდეგ კი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები გაათავისუფლეს. მათი ადგილები კი „ქართული ოცნების" აქტივისტებმა დაიკავეს.

ზოგადად, გუბერნატორის ინსტიტუტი რომ უფუნქციო გახდა, ამაზე კახეთში რიგითი მოქალაქეებიც ღიად საუბრობენ. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ამჯერად ჭიაბერაშვილს კახეთში მიმდინარე პროცესებზე კონტროლი დაკარგული აქვს და რეგიონის ცხოვრებაში ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს.

კახეთის ახლადდანიშნული გუბერნატორი პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას — მერების, გამგებლებისა და გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევას გამოეხმაურა. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, იგი მიესალმება ამ ინიციატივას და მხარს უჭერს.

„როდესაც 9 წლის წინ „ნაციონალური მოძრაობა" მოვიდა ხელისუფლებაში, მაშინვე დაიწყო დეცენტრალიზაციისკენ სვლა. ამის მაგალითი იყო 2006 წელს თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა. ეს საკითხი მოითხოვს სერიოზულ დებატებს საქართველოს პარლამენტში. პირველ რიგში არჩევნებამდე ამას სჭირდება პარლამენტში შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რომლის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება ვილაპარაკოთ გუბერნატორების არჩევაზე," — აცხადებს ჭიაბერაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

# ორი ალალი კაცის ისტორია

ორივე ერთ წელს და ერთ თვეს დაიბადნენ – ჯერ **შოთა ბიკაშვილი** – 1933 წლის 20 თებერვალს, სამი დღის შემდეგ კი - 23 თებერვალს **გოდერძი ტოკლიკიშვილი**. მაშინ რა იცოდნენ, რომ სიცოცხლის ნახევარზე მეტს ერთად გაატარებდნენ. ღმერთმა და არსთა გამრიგემ ბევრი ერთნაირი თვისება და უნარი დაანათლა: ძლიერი გონება და ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, ცოდნის და წიგნის ფასის ზედმიწევნით გათავისება, პატიოსნება, ერთგულება და სიალალე. შოთამ არბოშიკის საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა, გოდერძიმ წითელწყაროს ქართულ სკოლაში ოქროს მედალი დაიმსახურა. შოთამ ზოოვეტინსტიტუტი დაამთავრა, გოდერძიმ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე. ორივე მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. გოდერძიმ პედაგოგობით დაიწყო შრომითი საქმიანობა, მერე იყო კომკავშირის და პარტიის რაიკომები, მერე პარტიული დავალება-სათავეში ჩასდგომოდა რაიონული გაზეთის „ახალი შირაქი“ რედაქციას. ეს იყო 1966 წელს. საჭირო იყო საიმედო, ერუდირებული ადამიანების შერჩევა. პროფესიონალი ჟურნალისტები რაიონში თითქმის არ იყვნენ და რადგან რაიონულ გაზეთში სხვა საკითხებთან ერთად ერთ-ერთი წამყვანი განყოფილება სოფლის მეურნეობის უნდა ყოფილიყო, გადაწყვიტა, ეს განყოფილება შოთა ბიკაშვილისათვის ჩაებარებინა, რომელიც იმ დროს შირაქის მეფრინველეობის მეურნეობაში მთავარ ზოოვეტერინარად მუშაობდა, მაგრამ თავის პროფესიის პარალელურად არც წერაკითხვასთან იყო მწყრალად, ხანდახან მუზაც სტუმრობდა და ალექსებდა კიდეც. გოდერძიმ ის პარტიის რაიკომში მუშაობისას გაიცნო და მოეწონა. ასე აღმოჩნდა შოთა ბიკაშვილი გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში და იქ ოთხ ათეულ წელზე მეტი გაატარა. მათი თანამშრომლური ურთიერთობა დანათესავებაში გადაიზარდა-შოთამ ოჯახი შექმნა და გოდერძის ცოლის გულო შანშიაშვილის და ნანა მოიყვანა ცოლად. მას მერე მოდიან დღემდე სიამტკბილობით, ურთიერთპატივისცემით და ერთმანეთზე ზრუნვით. გოდერძის, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მუდამ ეიმედებოდა შოთა. შოთაც თვისობრივად და ვალდებულებითაც გრძნობდა პასუხისმგებლობას და თავდადებული შრომითა და ერთგულებით ეკიდებოდა მასაზე დაკისრებულ მოვალეობას. მას გამორჩეულად უყვარდა სპორტი და პოეზია და სოფლის მეურნეობა ეს განყოფილებასთან ერთად ამ ორი



კუთხითაც ის მუშაობდა. ძლიერი გონების და ცოდნის ფართო დიაპაზონის გამო ახლა ამბობენ „კომპიუტერი უდგას თავშიო“, მაშინ კი ვამბობდით „ნამდვილი ენციკლოპედიააო“. სწორედ ასეთები იყვნენ გოდერძიც და შოთაც - ნაკითხები, ერუდირებულები, ცოდნის დიდი მარაგითა და ძლიერი მეხსიერებით. თითქმის ოცდახუთი წელი ზიდა გოდერძიმ რედაქციის მძიმე უღელი. სწორედ მისგან ვისწავლეთ და დღემდე მოსდევს რედაქციას შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება და ურთიერთგატანა. გოდერძიმ ბევრ კარგ თვისებას და ჩვევას დაუდო საფუძველი, რისთვისაც მადლობლები ვართ მისი.

კვირაში სამი გაზეთი გამოდიოდა, ყოველ მეორე დღეს, დილის 9 საათზე გაზეთი ქსელში გასატანად მზად უნდა ყოფილიყო. სად იყო მაშინ „გადააკოპე“ და „გადმოაკოპე“ „google.ge“ და მსგავსი, თითოეულ სიტყვას და წინადადებას ვწურავდით, ერთი მძიმე ან წერტილი, ერთი ასო რომ ყოფილიყო შეცდომით გაზეთში გაპარული, ცეცხლი ენთო მეორე დღეს კორექტორისა და მორიგე რედაქტორის თავზე. ერთხელ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის მაგიერ გაზეთში ლეონიდ ჭრეჟნევი გაიპარა.

## გილოცავთ!

დილით, როცა უკვე გაზეთის 9.700 ეგზემპლარი ქსელში გადასატანად იყო გამზადებული, ცხრის ნახევარზე, სამსახურში ნაადრევად მისულმა გოდეძი ტოკლიკიშვილმა აღმოაჩინა ეს შეცდომა და... პოლიტიკური განკითხვის ჟამი გარდაუვალი იყო. სასწრაფოდ გვიხმო ჩვენც და სტამბის თანამშრომლებსაც (მობილური ტელეფონი მაშინ არ არსებობდა, მაგრამ ნებისმიერ ოჯახს ჰქონდა შესაძლებლობა, ხაზის ტელეფონი ჰქონდა). ერთ საათში ყველა ეგზემპლარს საღებავის ლაქა დავადეთ ასო „ჭ“-ზე. ასე „გავასაღეთ“ ტექნიკურ წუნად ის კორექტორულ-პოლიტიკური შეცდომა და დასჯას გადავარჩინეთ ჩვენი თავიც და ჩვენი რედაქტორიც. არ ვიცი, ცუდი იყო ასეთი სიმკაცრე თუ კარგი, მაგრამ ის კი ვიცი - „მეტისმეტი რეტისრეტიო“ და არც მაშინელი ნამეტანი ბიუროკრატიზმი ვარგოდა და არც დღევანდელი ნამეტანი თავისუფლება, გაუმართავი ენით წერა და ლაპარაკი საიფორმაციო საშუალებებში. ეს ისე, ლირიკული გადახვევისათვის.

მივუბრუნდეთ მთავარ სათქმელს გოდერძისა და შოთას ღვაწლზე ვსაუბრობდით, რომელიც ფასდებოდა გაზეთ „შირაქის“ 75 წლიანი ისტორიის იმ მონაკვეთში, როცა მათ მოუხდათ მოღვაწეობა. 1990 წელს სოციალიზმის ნანგრევებში მოექცა გოდერძი ტოკლიკიშვილის კარიერა და სამუდამოდ ჩამოიშალა. ჩვენ ყველას გული დაგვწყდა უსამართლოდ დასჯილი პატიოსანი, მშრომელი ადამიანის გამო. ბევრიც ვეცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. დრო იყო ისეთი. დაუმსახურებლად მძიმე ცხოვრება ერგო ბატონ გოდერძის. უჭირდა უმრავლესობას და მათ შორის მასაც. ხან აქეთ მიაწყდა წიგნს და კაბინეტს შეჩვეული ინტელიგენტი, ხან იქეთ. არაფერი გამოვიდა. მერე ბედი დედაქალაქში სცადა. არც იქ ულხინს მაინცდამაინც, მაგრამ... შვილები და შვილიშვილები ჰყავს გვერდით. მისი ვაჟი ემზარიც



თბილისში ცხოვრობს. ორი შვილი ჰყავს - თორნიკე და მარიამი, რომლებიც უკვე მოზრდილები არიან. ქალიშვილის მარინეს შვილები გიორგი და საბა სტუდენტები არიან, ქეთი მე-10 კლასის მოსწავლეა. მზრუნველობას არ აკლებენ შვილები და შვილიშვილები უკვე ასაკში შესულ პაპა-ბებიას. ბატონი გოდერძის და ქალბატონი გულოს სიცოცხლის მიზანიც ხომ მათით გახარებაა.

76 წლის ასკში დატოვა საყვარელი საქმიანობა შოთა ბიკაშვილმა. ღირსეულად გავაცილეთ სამსახურიდან რედაქტორის მოადგილის რანგში ღვაწლმოსილი ადამიანი – მოვეფერეთ, დავაფასეთ, მადლობა გადავუხადეთ და... თუმცა, ერთგულებას დღესაც გვიმტკიცებს, თავის სამეზობლოში კვლავ ავრცელებს და არიგებს გაზეთ „შირაქს“, რისთვისაც ძალიან მადლობელნი ვართ. ეს არის ძაფი, რომლითაც შოთა კვლავ უკავშირდება სამსახურს, სადაც 43 წელი გაატარა, სადაც ბევრი შრომაც დახარჯა და ბევრი სიამოვნებაც მიიღო. ის იყო ჩვენი ზეპირი „არქივი“, შეუცვლელი თამადა, იუმორის და კურიოზების უბადლო მთხრობელი, ალალი, უღალატო ადამიანი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაყრდნობოდი. ახლა შვილებსა და შვილიშვილებში გახარებულ-გაფუფუნებული დამსახურებულ პენსიაზეა და ისვენებს. სახლში მუხრანის ორი ანცი შვილი მარეხი და ხატია ართობენ, რძალიც კარგი შეხვდა და „უბატონოდ“ ხმას არავინ შეჰკადრებს. კიევიდან კი „სკაიპით“ ხშირად ეხმიანებიან ქალ-სიძე და შვილიშვილები. ლალის უფროსი ვაჟი დავითი უკვე სტუდენტია, სამართალს სწავლობს. გოგონა სალომე საბალეტო სკოლა-კოლეჯში სწავლობს, ის სპორტის ოსტატობის კანდიდატია მხატვრულ ტანვარჯიშში, უმცროსი ლუკა კი ჯერ VIII კლასის მოსწავლეა. უხარიათ ბატონ შოთას და ქალბატონ ნანას შვილების და შვილიშვილების წარმატება და კარგად ყოფნა და ბედნიერებიც ამით არიან.

არასოდეს ჰქონდათ ქონებისა და სიმდიდრის სიხარბე გოდერძი ტოკლიკიშვილს და შოთა ბიკაშვილს. ალალ ლუკმას სჭამდნენ და მადლობელი იყვნენ უფლისა, რაც მათთვის გამოიმეტა. ასე გალიეს რვა ათეული წელი.

**მთელი რედაქციის და სტამბის ყოფილი და დღევანდელი თანამშრომლების სახელით 80 წლისთავს გილოცავთ ბატონო გოდერძი და ბატონო შოთა. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, მხნეობას და ოჯახობის კარგად ყოფნას. მუდამ გვახსოვხართ და ვაფასებთ თქვენს ღვაწლსა და ამაგს.**

ნაირა გორაშვილი

# დედა უნივერსტიტეტს თუ გაუჭირდა, ყველა ფეხზე დავდგებით!

**(მეოთხე გვერდიდან)**
ვერსიტეტის 50 წლის იუბილეს დაემთხვა. დღეს 95 წლისთავსაც მოვესწარ და ვისურვებდი, ჩვენ ყველა ასი წლისთავს კვლავ ერთად შევხვდეთ, - თქვა ქალბატონმა ცაცამ, რომელმაც ასევე ვრცლად ისაუბრა უნივერისტეტის ერთ-ერთი დამაარსებელის ანდრია ბენაშვილის შესახებ, რომელიც ზემო მაჩხაანელი გახლდათ და თავისი დროის გამორჩეული წარმომადგენელი იყო.

სტუდენტობის წლებს იხსენებს უხუცესი უნივერსიტეტელი ფილოლოგი **ნინო ბოსტოღანაშვილი**: - 1945-50 წლებში ვსწავლობდი, ეს იყო წლები, როცა დაღვინებულ-დაბრძენებული პირველი უნივერსიტეტელები მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ მშობლიურ უნივერსიტეტში ქუხდა უნივერსიტეტის სახელი მთელს კავკასიაში. ისეთი კოროფეები, როგორიც იყვნენ შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, თვით ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილიც კი, როგორც ცოდნის ტაძარში, უნივერსიტეტის ეზოში შესვლისთანავე ქუდს იხდიდნენ და თაყვანს სცემდნენ. ბევრი დიდი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის და ორგანიზატორის სახელი უკავშირდება ამ წმინდა კედლებს. თუნდაც ერთი ნიკო კეცხოველის ხსენება რად ღირს, ის იყო დიდი მეცნიერი, დიდი ორგანიზატორი და დიდი ადამიანი, რომელიც გაჭირვებული ოჯახების შვილებს საკუთარი ჰონორარიდან უნიშნავდა სტიპენდიას, ისე, რომ სტუდენტებმა არც კი იცოდნენ. ამით ის მათ თავმოყვარეობას უფრთხილდებოდა. დღეს ყველას ჩვენეული უნივერსიტეტი გვახსოვს და გვეამაყება.

ისტორიკოსებმა **ნანული ნატროშვილმა** და **თებრო აფციაურმა**, საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტმა **ნათელა ბილიაშვილმა**, ეკონომისტმა **ნათელა აბულაშვილმა** თავისი დროის უნივერსიტეტი გაიხსენეს. სიყვარულით მოიგონეს ის ლექტორ-მასწავლებლები, რომლებიც აოცებდნენ მათ არა მარტო თავისი განათლებით და მეცნიერული სიმაღლეებით, არამედ ადამიანური ღირსებებით, პატიოსნებით და ეროვნულობით. „ამ თეთრი ტაძრის ეშხი და ხიბლი დღემდე გამოგვყვა და გვეამაყება, რომ იმ უნივერსიტეტის გაზრდილები ვართ, რომელმაც იმ მძიმე წლებში დაიცვა და გადაარჩინა ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენაო,“ - თქვეს მათ.

ქიმიკოსმა ეთერ ფიცხელაურმა თავისი სტუდენტური მოგონებების პარალელურად ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის დამაარსებლების პეტრე მელიქიშვილის და ივანე ჯავახიშვილის ღირსებებს: როცა პირველი რექტორის არჩევაზე მიდგა საქმე, მელიქიშვილი ჯავახიშვილს უთმობდა ასპარეზს - ახალგაზრდა ხარ, შენ მეტი პერსპექტივა და სივრცე გჭირდებაო. ბატონმა ივანემ კი უფროს თანამებრძოლს წინ არ გადაუარა და მას დაუთმო პირველი რექტორის სავარძელი. 20 თვე მუშაობდა მელიქიშვილი რექტორად და ხელფასი არ აუღია, სულ უნივერსიტეტს მოახმარა. ყველა ფაკულტეტი მაშინ უნივერსიტეტში იყრიდა თავს. სწორედ უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა შემდგომ სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური ინსტიტუტები, რომლებიც დღეს თავადაც უნივერსიტეტის სახელს ატარებენ.

მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს **ეგული ყორჩიაშვილს** ეამაყება, რომ მის დიპლომს, როგორც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, ხელს აწერს ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მათემატიკოსი, როგორიც ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო. მან სიყვარულით და პატივისცემით გაიხსენა აგრეთვე თავისი ლექტორი, შემდგომ კი როგორც თანამშრომელი, ათწლეულების მანძილზე აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი ევგენი ხარაძე.

**მანანა ყატაშვილმა** თავის გამოსვლაში ბოლო პერიოდში რაიონში კულტურული ცხოვრების საგრძნობი გამოცოცხლების ტენდენციას გაუსვა ხაზი და ის აქტიური სტუდენტური ცხოვრება გაიხსენა, როცა ეროვნული სული იატაკქვეშეთიდან ზედაპირზე ამოვიდა.

-„ დედაენის სამი წლისთავი იყო. ჩვენ მცხეთაში, სვეტიცხოველში წავედით. მაშინ პირველად ვნახე ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და თამარ ჩხეიძე. მაშინ მათ პოლიცია დევნიდა და დროებით დაიჭირეს კიდეც. ეს დაუვიწყარი და ამაღლებული დღე იყო,“ - გაიხსენა მან.

**ნანა ლაპიაშვილმა, მაია ალადაშვილმა, ნანა ჭიჭინაძემ, ლალი ბასილაშვილმა** თავისი სტუდენტობა გაიხსენეს და დასვეს რიტორიკული კითხვა: - ახლა, როცა ყველა უმაღლეს სასწავლებელს უნივერსიტეტი ჰქვია, ნეტავ რა შეგრძნება აქვთ იმ უნივერსიტეტდამთავრებულებს. ჩვენთვის ხომ უნივერსიტეტი იმ ცოდნის ტაძართან ასოცირდება, რომელიც მთელი ქართველი ხალხისთვის განუმეორებელი ეროვნული მუხტის მიმცემიაო.

რადგან შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მომეცა (საგაზეთოდ ჩანაწერებს ვაკეთებდი) ახლა გეტყვით ამ კითხვის ჩემეულ პასუხს: მე დავამთავრე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და შემდგომ, უკვე რედაქციაში მუშაობის პერიოდში, დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. მაშინ ინსტიტუტები რაღაცით დიდი მოცულობის საშუალო სკოლებს გვაგონებდნენ. იქ ყველა ერთმანეთს იცნობდა, რეჟიმიც თითქმის ანალოგიური იყო, დარგობრივი სამეცნიერო მუშაობაც მიმდინარეობდა, მაგრამ უნივერსიტეტი და მისი დიაპაზონი სულ სხვა გახლდათ. აქ აურაც კი სხვა იყო. აქ თავმოყრილნი იყვნენ ქართული სამეცნიერო წრეების ყველაზე ძლიერი და ტიტულოვანი სპეციალისტები, ღრმად მოაზროვნე და გაბედული ადამიანები, რომლებიც საგნების ცოდნასთან ერთად სულის თავისუფლებასაც გვინერგავდნენ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ლექტორები იყვნენ დიდი გალაქტიონის ძმისშვილი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე და გიორგი ლეონიძის ძმისშვილი, პროფესორი ნიკო ლეონიძე.

თავისი თაობის სულისკვეთება ჩადო სტუდენტურ მოგონებებში შპს „შირაქის“ დირექტორმა **ინგა შიოლაშვილმა**: - „მე იმ წელს ჩავაბარე უნივერსიტეტში, როცა 9 აპრილის ჭრილობა მოშუშებული არ გვქონდა. სწორედ 1989 წელს მიენიჭა უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი. ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. როცა ვამთავრებდი, იმ წელს გაიხსნა უნივერსიტეტის ეზოში დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, სადაც მოწიწებით სანთელს ვანთებდით ქრისტიანული მრწამსის გამოღვიძების გარიჟრაჟზე,“ - თქვა მან.

საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ დღეს უნივერსიტეტი ის აღარ არის, რაც ადრე იყო, უარყვეს და უნივერსიტეტის ავტორიტეტი დაიცვეს მისმა დღევანდელმა სტუდენტებმა:

**მარიამ გოგოჭური** (თსუ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი): „ყველას მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. მინდა დაგამშვიდოთ, რომ დღევანდელ უნივერსიტეტს ქართული განათლების სისტემის ფლაგმანის პოზიცია აკისრია და აქვს კიდევაც რეალურად. მე უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ვსწავლობ, სადაც ყველა პირობაა შექმნილი, როგორც მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა ცოდნის და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის კუთხით. უნივერსიტეტის ბევრი სხვადასხვა დარგის კურსდამთავრებული მიდის ცოდნის ასამაღლებლად საზღვარგარეთ. მათ აქვთ მყარი საფუძველი ამისთვის და წარმატებითაც სწავლობენ. იმედი მაქვს, ჩვენს თაობასაც მიეცემა საშუალება, საკუთარ ქვეყანაში თავისი სიტყვა თქვას და ღირსეულად იცხოვროს.

**თეონა გოგილაშვილი** (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი): „მე მაღლივ კორპუსში ვსწავლობ და მარიამის მსგავსად სრულიად მაკმაყოფილებს სწავლის ხარისხი და შესაძლებლობა. ჩემი ლექტორები არიან დღევანდელი ჩვენი მინისტრები, დავით ნარმანია (რეგიონული მართვის და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) და ნოდარ ხადური (ფინანსთა სამინისტრო), რომლებიც წარმატებით ფლობენ როგორც თეორიულ ნაწილს მსოფლიო ეკონომიკის და ბიზნესის კუთხით, ასევე ჩახედული არიან პრაქტიკულ საქმიანობაშიც. ამ გამოცდილებას ისინი ჩვენ გადმოგვცემენ. მე მწამს, რომ საქართველოს უკეთესი მომავალი ექნება!

უნივერსიტეტელებს საიუბილეო თარიღი მიულოცეს, საქმიანობაში წარმატებები უსურვეს და ასი წლისთავზე კვლავ შეხვედრის სურვილი გამოთქვეს მოწვეულმა სტუმრებმა: დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორმა **ნინო ბახუტაშვილმა** და მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის წევრმა **ჯემალ ყორჩიაშვილმა**.

შეხვედრა მსუბუქი ალაფურშეტით დასრულდა. ეს იყო ერთი მშვენიერი მოგონებების დღე, რომელმაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა იქ მყოფ თითოეულ ადამიანს. მადლობა ამისთვის ამ ღონისძიების ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს.

შეხვედრის მონაწილეებმა დაათვალიერეს მირზაანელი ახალგაზრდა თვითნასწავლი მხატვრის ბელა ლობჯანიძის ნახატების გამოფენა, რომელმაც მათი დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნაირა გორაშვილი

# კომუნისტური გადატრიალება

***25 თებერვალი საქართველოს ისტორიაში დიდხანს ითვლებოდა ნათელ თარიღად, როცა მოხდა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება და ე. წ. დიადი მომავლის დასაწყისი. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ კი, ამ თარიღმა სულ სხვაგვარი დატვირთვა მიიღო. აღმოჩნდა, რომ რასაც მანამდე ისტორიის წიგნების მეშვეობით გვასწავლიდნენ, დამახინჯებული სიმართლე იყო.***

***საქართველოში რამდენიმე წელია, ოკუპაციის კვირეული აღინიშნება. ყოველწლიურად, 25 თებერვალს, იხსენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც კომუნისტურ გადატრიალებას შეეწირნენ.***

წითელი არმია თბილისში 1921 წლის 25 თებერვალს შევიდა. იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სამი დღე ქალაქში იყო ძარცვა, მკვლელობა და გაუპატიურება. თვითმხილველის მონათხრობში აღწერილია ის საშინელება, რაც ხდებოდა თბილისსა და კომუნისტური ჯარების მიერ ოკუპირებულ სხვა ქალაქებში. თუმცა, ქალაქის აღების შემდეგ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ შეარბილა თავისი დამოკიდებულება ხალხის მიმართ. რა თქმა უნდა, მათ მრავალი ადამიანი დააკავეს, მაგრამ თავიდანვე სიკვდილით ბევრი არ დაუსჯიათ. ლენინმა თავად ურჩია ქართველ კომუნისტებს, არ მიემართათ იმ ზომებისთვის, რომლებიც თვითონ გამოიყენა რუსეთში. ერთი წლის განმავლობაში საქართველო არც ითვლებოდა საბჭოთა კავშირის წევრად. მხოლოდ 1922 წლის 12 მარტს გამოცხადდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით და მათი შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (1936 წელს, ამიერკავკასია კვლავ სამ ნაწილად გაიყო). საწყის ეტაპზე ახალ მთავრობას, რომელშიც მხოლოდ ქართველი კომუნისტები იყვნენ, მოსკოვისგან მოქმედების თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. მაგალითად, მას საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტროც ჰქონდა და მცირე კომუნისტური ქართული არმიის შექმნაც შეეძლო. თუმცა, ეს არმია მოსკოვისთვის არასაიმედო გამოდგა და იგი რამდენიმე წელიწადში გაუქმდა. ახალმა მთავრობამ იცოდა, რომ ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ამიტომ თავიდან შემრიგებლური დამოკიდებულება არჩია. რუსიფიკაცია არ მიმდინარეობდა ღიად, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც ლენინი და სხვა კომუნისტი ლიდერები „საბჭოთა სახელმწიფოს“ და «საბჭოთა პატრიოტული” იდეოლოგიის შექმნისას ეროვნულ საკითხში არარუსი ხალხების წინაშე დათმობებზე წასვლას აუცილებლობად მიიჩნევდნენ. ეროვნულ ენებს ისინი დადებითად ეკიდებოდნენ, რადგან სწორედ მათი საშუალებით ფიქრობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხითვის სოციალიზმის სწავლებას, მიწოდებას და მასებში გავრცელებას.

თუმცა, მალე გაცხადდა, რომ ქართველები არ მოტყუვდნენ. „საბჭოთა სახელმწიფო“ მათთვის კვლავ „რუსეთის სახელმწიფოსთან“ ასოცირდებოდა და მისდამი ერთგულებაზე ქართველები უარს ამბობდნენ. დამარცხებით და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული პირველი შოკის გადალახვის შემდეგ, ქართველმა ხალხმა საძულველი დამპყრობლის წინააღმდეგ აქტიური წინააღმდეგობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ პირველი პროტესტი ღიად ქართველმა მუშებმა გამოთქვეს, რომელთა ვითომცდა «გასათავისუფლებლადაც” შემოვიდა საქართველოში წითელი არმია.

ოკუპაციიდან რამდენიმე თვის თავზე, თბილისის მშრომელებმა მოაწყვეს მასობრივი საპროტესტო მიტინგი, რომელზეც მიიღეს რეზოლუცია რუსეთის ჯარების გაყვანის, დამოუკიდებული ქართული სახელმწიფოს და ადამიანის უფლებების, მათ შორის თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი პრესის და თავისუფალი პროფესიული კავშირების, ანუ ყველა იმ უფლების აღდგენის მოთხოვნით, რომელიც მათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ჰქონდათ. მიტინგი, რა თქმა უნდა, კომუნისტურმა პოლიციამ და ჯარმა დაშალა, მისი ორგანიზატორები კი დააპატიმრეს. შემდეგი ღია წინააღმდეგობა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოხატეს. მაგრამ მათაც იგივე პასუხი მიიღეს. დემონსტრაციის დარბევისას მოკლეს მრავალი სტუდენტი და სკოლის მოსწავლეც კი.

მაგრამ ყველაზე დიდი დემონსტრაცია მაშინ მოეწყო, როდესაც გამარჯვებული სტალინი 1921 წელს ქვეყნის წითელი არმიის მიერ დაპყრობიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ ეწვია საქართველოს. ის კომუნისტურ რუსეთში უკვე საკმაოდ გავლენიან პირად ითვლებოდა, მაგრამ როდესაც ქართველთა პირისპირ აღმოჩნდა, სტალინი მიახვედრეს, რომ ქვეყნის დაპყრობა უცხოური ხიშტებით ერთია, ხოლო თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეების ჩაკვლა - სულ სხვა. თბილისის სამთავრობო დარბაზში გამოსვლისას მას არაერთხელ გააწყვეტინეს სიტყვა, ათასობით ქართველმა კი იგი შეძახილებით «გამყიდველო, მკვლელო, მოღალატევ” შეამკო. გაფითრებულმა და შემცბარმა სტალინმა დარბაზი გაძლიერებული დაცვით გარშემორტყმულმა დატოვა. იმავე დღეს მან კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოიწვია და მის წევრებს განუცხადა: «საქართველოს ცხელი უთოთი უნდა გადავუაროთ”. სტალინის სურვილი ნათელი იყო და ათასობით ქართველს «ცხელი უთოთი” მართლაც გადაუარეს. სტალინის უარყოფა მისსავე სამშობლოს ძალიან ძვირი დაუჯდა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ქართველები დანებებას არ აპირებდნენ, კომუნისტებმა ტაქტიკა შეცვალეს. მათ საბჭოთა ტერორისა და ზეწოლის მთელი არსენალი გამოიყენეს — დაიწყო დაპატიმრებების, დეპორტაციისა და სიკვდილით დასჯის მძლავრი ტალღა. იმ დროისათვის მთელი ადმინისტრაცია შეცვლილი იყო და ყველა მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობა კომუნისტებს ეკავათ. ქართული სოფლები მოსკოვში გაწვრთნილი პროპაგანდისტებით გაივსო. სასტიკი ჩეკა ყოვლისშემძლე გახდა.

## მამუკა მაძღარაშვილი



რა უკიდეგანო დარდი და ცრემლიანი ცხოვრება გვაქვს, შვილო, ერთ დროს ძალიან ბედნიერ და ახლა ყველაზე უბედურ შენს მშობლებს. ოთხი საშინელი წელია უშენოდ ვარსებობთ.

გულიანო, თბილო, კეთილო, ალალ-მართალო, კაცთმოყვარე, ყველას მიმართ სიყვარულით ანთებულო-ჩემო გემრიელო შვილო. არ გვინდა უშენოდ სიცოცხლე, ძალიან დამღლელია, ვაი შენს დედას შვილო. როგორ ენატრება დედას და მამას შენი ღიმილი, შენეული სიყვარული, შენ არავის არ გავხარ შვილო. ჩემო დიდი გულის ადამიანო, დიდი სულის ადამიანო. როგორ დაგკარგა დედამ, შვილო. ეს გამოუსწორებელი შეცდომაა,რასაც ვერ ეგუებიან შენი საცოდავი მშობლები. რა მწარე ხარ, ჩემო ძვირფასო. რა ცოტა ხანს იყავი ჩვენთან. 34 წელი რა არის შვილო, რა პატარა სიცოცხლე გქონდა, საყვარელო.

შენეული სიყვარულით ვეხუტებით შენს ოჯახს, შენს თეას, პატარა მერაბიკოს და ნიკოლოზს. დაუჯერებელია, როგორ ახსოვხარ მერაბიკოს. უნდა შენზე მესაუბროს, შენი სურათები დაათვალიეროს, სიზმარში განხულობს, მამუკამ ზოოპარკში წამიყვანოსო. 2 წლის და5თვის დატოვე, ახლა ის უკვე მოსწავლეა.მოგიკვდეს დედა, რომ შენი ნალოლიავები სკოლაში ვერ გააცილე, შვილო. ნიკოლოზი 8 თვის დატოვე, მას არ ახსოვხარ. შენ რომ გაგიხარდება ისეთი საყვარელი ბავშვები არიან ორივე. მეტნაკლებად ერთიც და მეორეც გგავს შვილო.იცი, ხშირად ეტყოდი რა დიდი იმედი ხარ მამაო, შენც მამის დიდი იმედი რომ იყავი თუ იცი. ახლა რა ვქნათ, ჩვენი სიცოცხლე სასჯელია, უაზრობაა, საცოდაობაა, ჩემო სიკეთით სავსე ბიჭო.ჩვენი ტკივილი ხარ შვილო. ჩვენს ტკივილს ისევ და ისევ მამუკა ჰქვია და იმ იმედს, შენ რომ გქონდა, ჩვენთვის ახლა მერაბიკო და ნოკოლოზი ჰქვია.

შენ უზომოდ გწამდა და გიყვარდა უფალი. გიყვარდა განურჩევლად ყველაფრისა ყველა ადამიანი. მარტო შენი თავი არ გიყვარდა და სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდი. იმ, ავადსახსენებელ, 2009 წლის 22 თებერვალის წინა საღამოსაც, ყველას ეფერებოდი, ესიყვარულებოდი. რა მიიღე მათგან გულგრილობის მეტი.

სიკეთის ქმნა-ეს არის ადამიანის უპირველესი მოვალეობა, სწორედ ამ პრინციპით იცხოვრე. ჩვენი ნუგეშია სულის მარადისობა და გვჯერა შენი სიკეთით სავსე გულით აუცილებლად დაიმკვიდრებ ღირსეულ ადგილს ზეციურ სასუფეველში. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული.იყავი მშვიდად ჩემს მოსვლამდე.

ჩვენს გაუსაძლის სიცოცხლეს მეორე დიდი უბედურება დაემატა. შენი მამიდაშვილი რამაზი გამოგვეცალა ხელიდან. ძალიან დიდი და გაუსაძლისი ტკივილი ხარ ჩემს ხელში გაზრდილო შვილო, რამაზ. ნათელში გამყოფოს უფალმა.

ჩემო მამუკა უზომოდ აკლიხარ შენს საყვარელ ცოლ-შვილს, ენატრები შენს და თეკლას, შენს მამიდებს, მამიდაშვილებს, დეიდებს, დეიდაშვილებს, მეგობრებს.

შენი ოჯახი

---

**მონატრება**

## გელა ქოქიაშვილი

1 მარტს ორმოცდამეათედ დადგება შენი დაბადების დღე. ჩვენ 19 წელი უშენოდ ვხვდებით ამ ლამაზ დღეს.

ჯანმრთელ, ჯან-ღონით სავსეს 31წლის ასაკში ბედმა გიმტყუნა და გახდი მოულოდნელად ავტომატის მსხვერპლი და უეცრად სამუდამოდ გამოეცალე საამაყო ოჯახს. უნუგეშოდ დატოვე სრულიად ახალგაზრდა მეუღლე და ორი ქალიშვილი. შენმა უსაყვარლესმა მეუღლემ თამრიკომ, მიუხედავად დიდი ტკივილისა და გაჭირვებისა, ღირსეულად ზიდა ქვრივი დედის მძიმე ტვირთი და სამაგალითო შვილები გაზარდა, გზაზე დააყენა, კარგ პიროვნებად ჩამოაყალიბა და დღემდე ასე ღირსეულად აგრძელებს ამ საქმეს შვილებთან და ორ შვილიშვილთან, რომლებმაც შენგან დატოვებული სიცარიელე და ტკივილი შეუვსეს, მაგრამ გულის სიღრმეში შენი წასვლით დატოვებული იარა დღემდე მოუშუშებელია.

რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორციელებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწარი. ნინოს და ნანას ბედნიერებით ვერ გაიხარე. არ დაგცალდა შენი სიძეების და შვილიშვილების გაცნობა.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისაბაძ მაგალითად დარჩება შენს შთამომავლობას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

***შენი უსაყვარლესი მეუღლე- თამრიკო; შვილები: ნინო და ნანა; შვილიშვილები მარიამი და ლუკა; სიძეები: რამაზი და მამუკა; ძმა გურამი, რძალი მზია; ძმისშვილები: თამუნა, გელა და შენი გულმოკლული დედა.***

---

## ფილიმონ უქილაური



ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ძვირფასო მამა, მაგრამ ტკივილი, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვაყენა, არ ნელდება, პირიქით, უფრო გვენატრები, უფრო მეტი სათქმელი და ჭკუის საკითხავი დაგვიგროვდა. ასეთ მდგომარეობაში ხშირად მოვდივარ შენს საფლავზე, თითქოს იქ მეგულები, მგონია, იქ მოვიოხებ გულს შენთან საუბრით, მაგრამ ამაოდ: მდუმარეა შენი სამარე, არ მეხმიანები, პასუხს არ მაძლევ... ერთი რამ გვაიმედებს ნხოლოდ, შენ ისეთი კეთილი და ალალი იყავი, ალბათ, სასუფეველში დაიმკვიდრე ბინა.

ჩვენი ცხოვრება კი ჩვეული კალაპოტიც მიედინება-ხან ვიცინით, ხან ვტირით, მაგრამ შენი წილი ტკივილი არ გვტოვებს, სულ გვახსოვხარ და მომავალშიც არ დაგივიწყებთ, არ მოგაკლებთ სულის საოხად სანთელსაკმეველს და ლოცვას, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**შენი ოჯახი და შენი ქეთია.**
**სოფელი ზემო მაჩხაანი.**

---



მეუღლე დალი ქუსიკაშვილი, შვილი რომანი, რძალი ნესტან ობოლაძე, იუწყებიან

ივანე იასონის ძე თეთვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 24 თებერვალს სოფელ სამრეკლოში.

---

მეუღლე ნანა პოპიაშვილი; და მანანა; შვილები: ნინო, ბარბარე, გიორგი. სიძე კახა ბიბილეიშვილი; შვილიშვილები: ალექსანდრე, მარიამი, ნინო, იოანე. ბიძა შალვა ღვედაშვილი; ცოლისძმა გივი პოპიაშვილი ოჯახებით იუწყებიან

ოთარ გონაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 21 თებერვალს დედოფლისწყაროში.

---

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა, ლეილა გორაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა პოპიაშვილს მეუღლის

ოთარ გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცარო მარტიაშვილს დედის

ვაროს

გარდაცვალების გამო.

---



დისშვილები თამაზი, გია ჭანყოშვილები, რძალი მაია იაკობიშვილი, დისშვილები: ვლადიმერი, მირანდა ჭანყოშვილები, მძახალი ნინელი დარჩიაშვილი იუწყებიან

მერი (დოდო) მათიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ორშაბათს, 25 თებერვალს 5 საათზე. დაკრძალვა 26 თებერვალს, 14:00 საათზე, ქ. დედოფლისწყაროში.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ცარო მარტიაშვილს დედის

ვარა მარტიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ შანშიაშვილი ოჯახით იუწყება თანაკლასელის

ოთარ გონაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს ცარო მარტიაშვილს დედის

ვაროს

გარდაცვალების გამო.

# კვლავ დიდი გამარჯვება

სპორტი



16-17 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთასორისო ტურნირი კიკბოქსინგში K-1 ის წესებით.

ტურნირზე მონაწილეობდა აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების გუნდები. მონაწილეთა რაოდენობამ ორას სპორტსმენს გადააჭარბა.

აღნიშნულ შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს კიკბოქსინგელთა გუნდმა „ჩემპიონმა“ თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით. ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლები ქალაქ თბილისის რინგზე. ტელეკომპანია რუსთავი-2-მა ფართოდ გააშუქა ასპარეზობის მსვლელობა. შედეგები ამ ტურნირზე ჩვენი გუნდისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი მონაპოვარით დასრულდა და დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა თავისი ფავორიტობა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს.

5 პირველი; 4 მეორე; 6 მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს და რაიონში სპორტული თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაბრუნდნენ.

ასეთი დიდი რანგის ტურნირი წელს პირველი იყო და კარგად მომზადება ვერც მოვასწარით, მაგრამ სპორტსმენებმა მაქსიმუმი გააკეთეს თავისი შესაძლებლობის, რომ კარგი შედეგი ეჩვენებინათ და რაიონი ესახელებინათ. შემართებით წავედით და მიხარია, რომ პატარებმაც და დიდებმაც შეინარჩუნეს მხნეობა შეჯიბრის ბოლომდის.

პირველი ადგილები მოიპოვეს და საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ზურაბ ჯეთერიშვილი, მალხაზ უთრუთაშვილი, ვალერი კაჭრიძე, შალვა ხოსიტაშვილი, თამარ ჩიბუხაშვილი.

მეორე ადგილები დაიკავეს: ლაშა ლეკაშვილმა, თორნიკე ფოცხვერაშვილმა, ჯემალ ზოიძემ, ანა ქადაგიძემ.

მესამე ადგილებს დასჯერდნენ: გომერშმიდი გიორგი; ელყიაშვბილი ლაშა, ჯინაშვილი დავითი, ბენაშვილი გიორგი; მჭედლიშვილი იაროსლავი; ნათელაძე ვანო.

უნდა ავღნიშნო, რომ ტურნირის მიმდინარეობისას ჩვენი გუნდის სპორტსმენები გამოირჩეოდნენ ორთაბრძოლების ლამაზი მანერით და გადამწყვეტ მომენტში შეუპოვრობითა და ვაჟკაცური თვისებებით.

განსაკუთრებულად გამორჩეული იყო ფინალში აზერბაიჯანელი სპორტსმენებისა და ჩვენი თანაგუნდელის, მალხაზ უთრუთაშვილის ორთაბრძოლა, რომლის დროსაც გაიმართა უშეღავათო „დუელი“ და უპირატესობა ხან ერთის მხარეს იყო, ხან მეორის, ბოლოს მალხაზმა იმარჯვა და ბაქოელ მებრძოლ კიკბოქსინგელს სწრაფი და ლამაზი ილეთების გამოყენებით პირველობაზე მოსაპოვებლად ქულები აართვა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

დამაჯერებლად, ეფექტურად იასპარეზა შალვა ხოსიტაშვილმა და ყველა ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დაასრულა. შალვა პერსპექტიული სპორტსმენია და მსაჯებიც აღნიშნავენ მისი სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებას.

მინდა ავღნიშნო ასევე გიორგი ბენაშვილის გამოსვლა საერთაშორისო ტურნირზე, მან პირველ წრეში ქულათა დიდი სხვაობით დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე, მაგრამ მიღებული ტრამვის გამო ვერ შესძლო ბოლომდე დახარჯულიყო და ნახევარ ფინალში დამარცხდა მცირე უპირატესობით. მთავარი კი ისაა, რომ გიორგი ოსტატობას იმაღლებს.

ავადმყოფობის შემდეგ ჩვეულ ფორმას უბრუნდება ზურაბ ჯეთერიშვილიც. რამდენიმე თვის პაუზის შემდეგ მან შეძლო გამხდარიყო ტურნირის ჩემპიონი და ერთ-ერთი საუკეთესო ტექნიკურად მოასპარეზე სპორტსმენი.

და რაღა თქმა უნდა ვალერი ვაჭრიძე, რომელმაც დედოფლისწყაროელების მხრიდან ნამდვილი საბრძოლო შოუ დადგა რინგზე. მის გამოსვლას ყველა ინტერესით ელოდა და ვალერიმ იმედები არც ახლა გაუცრუა გულშემატკივართ.ფინალურ ორთაბრძოლებში მისი გამოსვლა საუკეთესო იყო და გამარჯვებაც იზეიმა.

კარგად იასპარეზეს ახალბედა სპორტსმენებმაც, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო მათი ოსტატობის დასახვეწად, რეიტინგის ასამაღლებლად. რაც შეიძლება ხშირად უნდა მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, რომ გადალახონ ფსიქოლოგიური დაძაბულობის წინააღმდეგობები და შეიძინონ ყველა ის თვისება, რაც ნამდვილ, ჩამოყალიბებულ კიკბოქსინგელს სჭირდება.

2013 წელს კიკბოქსინგის გუნდ „ჩემპონს“ უამრავი გეგმა და პროექტი აქვს და იმედია, წარმატებით განახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის მხარედაჭერით.

თამაზ ყარაგვეზაშვილი

## ფიროსმანის ფიალა პირველად გამოიფინა



ერთი ნივთის გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში — ფიალა, რომლითაც ნიკო ფიროსმანი ერთ-ერთ დუქანში ღვინოს სვამდა, ფართო საზოგადოებისთვის საცავიდან გამოიტანეს. მისი ნახვა თბილისის ლიტერატურის მუზეუმშია შესაძლებელი.

ფიროსმანის ფიალა ლიტერატურის მუზეუმის ფონდს გასულ წელს შეემატა. მასზე, სავარაუდოდ, ფიროსმანის მიერ გაკეთებული წარწერაა: “ღმერთმა გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა ნიკო ფიროსმანაშვილსა”, ხოლო ფიალის შიგნით კი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ფრაგმენტია.

შეგახსენებთ, ნიკო ფიროსმანის კუთვნილი არცერთი ნივთი დღემდე ცნობილი არ იყო

## ხრიდოლი

ხრიდოლი არის ქართული საბრძოლო ხელოვნება, რომელშიც 700-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ქართული ხელჩართული ბრძოლის სახეობებია: ქართული ჭიდაობა, ქართული კრივი, რკენა, ხმალი და მშვილდოსნობა.

ქართული საბრძოლო ხელოვნება ქართული კულტურის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორც ხელოვნების ნებისმიერი სხვა დარგი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტრადიციულ საბრძოლო ხელოვნებაზე ზრუნვა ეროვნული პოლიტიკის რანგშია აყვანილი და იგი ყოველი ერის სიამაყეს წარმოადგენს.

ქართული საბრძოლი ხელოვნება და ხალხური თამაშობა-ასპარეზობანი უხსოვარი დროიდან წარმატებით ავსებდა სამხედრო ფიზიკური მომზადების საშუალებათა არსენალს. მოსახლეობის მუდმივი სამხედრო მზადყოფნა კი, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური თავისებურებების გამო, ერის გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები“, როგორც აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ვარჯიშობს, ასევე ქართულ საბრძოლო ხელოვნებას ითვისებენ ჩვენი ნორჩი სპორტსმენები და შედეგიც სახეზეა. 16 თებერვალს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს XVI-ე ჩემპიონატი რკენაში, სადაც 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. კლუბ „ზაქებიდან“ მონაწილეობა მიიღო ჯერჯერობით სამმა სპორტსმენმა. ესენი არიან სანდრო ნატროშვილი, გიორგი ფიროსმანაშვილი, ბუბა გოგოლაძე. კარგად მომზადებული გიორგი ნატროშვილი შეჯიბრზე ვერ წამოვიდა ვარჯიშის დროს მიყენებული ტრავმის გამო. სანდრო ნატროშვილმა 2000-2001წლებში დაბადებულთა შორის დაიკავა პირველი ადგილი. ასევე გავიდა თავისზე უფროსი ასაკის სპორტსმენებთან 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის და დაიკავა იქაც პირველი ადგილი. ასე რომ, სანდრო ორი პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მესამე ადგილზე გავიდნენ გიორგი ფიროსმანაშვილი და ბუბა გოგოლაძე. ეს იყო პირველი გასვლა რკენაში და საკმაოდ კარგი შედეგია.

## ულოცავენ!

### გიორგი მაჩაბლიშვილს

ჩვენო უსაყვარლესო ვაჟკაცო, 21 თებერვალს 16 წელი შეგისრულდა. შენი მამიკოს სანათესაო, ვისაც შენთვის სულ მუდამ კარგი უნდა, გილოცავთ ამ დღეს და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ ცხოვრებაში. უკვე ისეთი ასაკი გაქვს, შეგიძლია ყველაფერი გააანალიზო, ვისი გორისა ხარ და ვისი სისხლი ჩქეფს შენს ძარღვებში. გვინდა მომავლის იმედით შეხედო ცხოვრებას, იცნობდე და გქონდეს მჭიდრო ურთიერთობა მამიდასთან, ბიძასთან, ძმასთან, ბიძაშვილებთან და მამიდაშვილებთან. ნუ დაიკლებ მათგან დიდ სიყვარულს და პატივისცემას.

**ძმა** დიტო, **ბებია** ციცინო, **მამიდა** ნანა, **ბიძა** ბეჟან მაჩაბლიშვილები ოჯახებით.

## მადლიერება

ჩემს 5 წლის გოგონას ხშირად ემართებოდა ყურების ანთება. დაუქვეითდა სმენა და ყურებში ჩაუდგა საკმაოდ ბევრი სითხე. ექიმებმა გვირჩიეს, გაგვეკეთებინა ლაზერული სხივები, თუ არ უშველიდა, დასჭირდებოდა საკმაოდ რთული ოპერაცია-შუნტირება. სხივების პირველი კურსის შემდეგ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გოგონას შედეგი ჰქონდა. ჩაიტარა მეორე კურსიც. დიდი მადლობა ქალბატონ **მარინა ქორიძეს**, რომ ჩემი შვილი გადამირჩინა ოპერაციას.

***პატივისცემით,***
მარიამ ჯანყარაშვილი


## მსურველთა საყურადღებოდ!

**გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.**

**„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.**





## ამინდი დედოფლისწყარო

| შაბათი 23. 02 | | კვირა 24. 02 | | ორშაბათი 25. 02 | | სამშაბათი 26. 02 | | ოთხშაბათი 27. 02 | | ხუთშაბათი 28. 02 | | პარასკევი 01. 03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 6° | 2° | 4° | 3° | 4° | 2° | 2° | 1° | 2° | 2° | 7° | 6° | 2° | 1° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K